პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 12 (10709) | სამშაბათი, 15 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო თავისი არსებობის მეორმოცე წელში შევიდა. საბჭოთა მრავალეროვანმა სოციალისტურმა სახელმწიფომ ოცდაცხრამეტი წლის მანძილზე მთელ მსოფლიოს დაანახვა თავისი დიადი ცხოველმყოფელი ძალა, თავისი განუზომელი უპირატესობა ბურჟუაზიული მრავალეროვანი სახელმწიფოების წინაშე. საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ერმა და ეროვნებამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში და თანასწორუფლებიანი ადგილი უკავია ხალხთა ერთიან და ურღვევ ოჯახში.

იცავს რა ლენინურ ანდერძს, კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის. პარტია მოდგამ ხელმძღვანელობად და ხელმძღვანელობს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მითითებით, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ ხალხთა მეგობრობა. ჩვენმა პარტიამ შეძლო აღმოეფხვრა ურთიერთ უნდობლობა, რაც არსებობდა მეფის რუსეთის ხალხებს შორის, შეეერთებინა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ძმური მეგობრობის კავშირით სწორედ იმიტომ, რომ იგი ყოველთვის გულისხმიერებას იჩენდა ამ ხალხების ინტერესებისადმი, მათი ეროვნული თავისებურებებისა და მისწრაფებებისადმი.

ლენინური ეროვნული პოლიტიკა ნიშნავს, რომ სოციალიზმი არათუ არ აღმოფხვრის ეროვნულ განსხვავებებსა და თავისებურებებს, არამედ, პირიქით, უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარებასა და აყვავებას. ამ ლენინურმა პრინციპმა მჭიდროდ დააზმა საბჭოთა ადამიანები ერთიან ოჯახად, გზა გაუხსნა ხალხს შემოქმედებითს ძალებს, დააზმა ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელი დიადი კომუნისტური მშენებლობისათვის.

რას წარმოადგენდნენ შუა აზიის რაიონები ძველ რეჟოლუციამდელ დროში? ეს იყო მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარეები, რომლებსაც არ ჰქონდათ საკუთარი მრეწველობა, მეცნიერება და კულტურა. ცარიზმი კოლონიურ პოლიტიკას აწარმოებდა აღმოსავლეთის ხალხების მიმართ, აოხრებასა და გადაშენებას განუმზადებდა მათ.

უზბეკები, ყაზახები, ტაჯიკები, თურქმენები, ყირგიზები, ყარაკალპაკები, რომლებიც დიდმა ოქტომბერმა გაათავისუფლა, ისევე, როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი, დაადგნენ სოციალისტური განვითარების გზას და მოკლე ისტორიულ ვადაში გარდაქმნეს თავიანთი ეკონომიკა და კულტურა.

საბჭოთა უზბეკეთის მაგალითი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში უზბეკეთში მძლავრი თანამედროვე მრეწველობა შეიქმნა.

ძირეული ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაშიც. უზბეკეთის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის — ბამბის წარმოება რამდენჯერმე გადიდდა. რევოლუციამდე ბამბის ყველაზე დიდი მოსავალი 1913 წელს მოვიდა. მაშინ ახლანდელი უზბეკეთის ტერიტორიაზე მოიკრიფა 518 ათასი ტონა ნედლი ბამბა. გასულ წელს კი რესპუბლიკამ 2 მილიონ 860 ათასი ტონა ჩააბარა დამამზადებელ პუნქტებს. ამჟამად საბჭოთა უზბეკეთი ჩვენს ქვეყანას იმდენ ბამბას აძლევს, რამდენიც მოჰყავთ მებამბეობის ისეთ ქვეყნებს, როგორიც არიან ბრაზილია, პაკისტანი, თურქეთი და ირანი ერთად.

მებამბეობის განვითარებაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. გუშინდელი დღე დიდხანს დაახსოვდებათ უზბეკეთის მშრომელებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა რესპუბლიკის წარმომადგენლებს გადასცა დამსახურებული ჯილდო. ლენინის ორდენის გადაცემის დროს წარმოთქმულ სიტყვაში მან მხურვალედ მიულოცა რესპუბლიკის მშრომელებს მიღწეული გამარჯვება და უსურვა მათ ახალი წარმატებანი ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. სასიამოვნოა, ამხანაგებო, აღვნიშნოთ, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ უზბეკეთის რესპუბლიკაში, ისევე როგორც ყველა ჩვენს სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში, ერთსულოვნად ცხოვრობს და მუშაობს საბჭოთა კავშირის ბევრი ეროვნება. ჩვენში ახლა არ არსებობს ეროვნული საკითხი იმ აზრით, როგორც ეს საკითხი ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს ესმით. ჩვენში დარაზმულობა და მეგობრობაა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს შორის, იმიტომ რომ ყოველი ხალხი ჩვენი დიადი სოციალისტური საზოგადოების სასურველი წევრია. ჩვენს ქვეყანაში ყველას უზრუნველყოფილი აქვს სამუშაო, ყველას ეძლევა დამსახურებისამებრ ყოველივე, რაც საბჭოთა კავშირის მოქალაქეს ეკუთვნის.

დღეს დიდი დღესასწაული აქვთ ყაზახეთის მშრომელებსაც. რესპუბლიკის დედაქალაქ ალმა-ატაში ყაზახეთს გადაეცემა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. რესპუბლიკას ეს პატივი მიენიჭა იმის გამო, რომ მან დიდი წარმატებები მოიპოვა ყამირი მიწების ათვისებაში და ვადამდე შეასრულა პურის დამზადების გეგმა. ყაზახეთმა 1956 წელს მილიარდ ფუთზე მეტი პური მისცა სახელმწიფოს. ამდენი მარცვლეული რესპუბლიკაში წინათ არასოდეს არ მოუყვანიათ.

ყაზახეთში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე რესპუბლიკებში, ძლიერი ტემპებით ვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913-დან 1955 წლამდე 33-ჯერ გადიდდა.

შუა აზიის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა გიგანტური ნაბიჯებით მიდის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის გზაზე. ტაჯიკეთი, თურქმენეთი და ყირგიზეთი, ისევე როგორც უზბეკეთი და ყაზახეთი, აყვავებული ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკები გახდნენ ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთში. მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში მიღწეული დიდი წარმატებებისათვის ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკებს მიენიჭათ მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი.

სოციალისტური ერების მჭიდრო და ურღვევ ოჯახში წარმატებით ავითარებენ თავიანთ ეკონომიკას ყველა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის — რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, სომხეთის, ესტონეთის მშრომელები. ჩვენი სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი ხალხები ძმური თანამშრომლობის საფუძველზე ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს.

ჩვენმა რესპუბლიკებმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვეს ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნებიდან გამოვდგნენ გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, ექიმები, მასწავლებლები, ინჟინრები, აგრონომები და სახალხო მეურნეობის სხვა სპეციალისტები. ყველა რესპუბლიკაში შეიქმნა ეროვნული ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი რაზმები.

რეჟოლუციამდე უზბეკეთში ადგილობრივ მოსახლეობაში მხოლოდ ორი პროცენტი იყო წერა-კითხვის მცოდნე. ახლა აქ განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება. რესპუბლიკაში შექმნილია მეცნიერებათა აკადემია, არის 34 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 65 ათასზე მეტი კაცი სწავლობს. უმაღლესი განათლების განვითარებაში უზბეკეთმა ბევრად გაუსწრო აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ეს ქვეყნებს.

ეროვნული რესპუბლიკების განვითარებაში მიღწეულ წარმატებებს ახლა მარტო ჩვენი მეგობრები როდი აღიარებენ. კაპიტალისტური ქვეყნების ბევრი წარმომადგენელი, რომელნიც შუა აზიაში იყვნენ, მიუკერძებელ შეფასებას აძლევენ ჩვენს მიღწევებს. საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ედგარ ფორმა, რომელმაც სსრ კავშირში იმოგზაურა, განაცხადა, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში „კოლონიური პრობლემა არ არსებობს, რადგან იქ გვხვდება ბევრი კომპეტენტური სპეციალისტი ადგილობრივი მოსახლეობიდან ყოველ პასუხსაგებ პოსტზე, ამასთან არსად არ არის რასისტული განწყობილების ნიშანწყალიც კი“.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანმა გეგმამ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ზრდის წარმტაცი პერსპექტივები შეუქმნა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხორციელდება ღონისძიებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოებისათვის.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით იზრდება და მტკიცდება საბჭოთა ხალხების დიადი მეგობრობა. ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების ერთგული კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ განამტკიცებს ამ მეგობრობას, მჭიდროდ აკავშირებს და რაზმავს საბჭოთა ადამიანებს დიადი შემოქმედებითი საქმეებისათვის.

„პრავდის“ 14-I მოწოდებიდან.

დეპეშა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს

გატონ ჰაროლდ მაკმილანს

ლონდონი

თქვენ მიერ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკავების გამო მიიღეთ ჩემი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები. ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ პირადი კონტაქტები, რომლებიც ჩვენს შორის ჟენევასა და ლონდონში დამყარდა, განგრძობილ იქნება ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების ინტერესებისათვის.

ნ. ბულგანინი

მოსკოვი, 1957 წლის 12 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1957 წლის 5 თებერვალს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი 1957 წლის 14 იანვარი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში მოპოვებული წარმატებებისათვის და ამასთან დაკავშირებით პურის საერთო მოსავლისა და დამზადების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, აგრეთვე მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის 1956 წელს პურის ჩაბარების წარმატებით ჩატარებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ყაზახეთის სსრ, ალტაის, კრასნოიარსკის, სტავროპოლის მხარეების, ჩკალოვის, ომსკის, ნოვოსიბირსკის, ჩელიაბინსკის, სარატოვის, როსტოვის, კურგანის, ირკუტსკის, კემეროვოს, ტიუმენის ოლქებისა და ბაშკირეთის ასსრ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, მშენებელთა, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების, პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

სულ დაჯილდოებულია 93.943 კაცი, აქედან ლენინის ორდენით — 5.362, შრომის წითელი დროშის ორდენით — 13.807, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 25.783, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ — 48.991 კაცი.

ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებისათვის 262 კაცს — საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების მუშაკებს, კოლმეურნეებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს — მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

დაჯილდოებულია სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ პურის პროდუქტების სამინისტროებისა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 158 მუშაკი.

* * *

მებამბეობის განვითარების საქმეში დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, უდიდესი შრომისათვის, რომელიც მოჰყვა ნაყოფიერ საქმიანობათა მშენებლობას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, 1956 წელს ბამბის დამზადების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაჯილდოვა უზბეკეთის სსრ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა დიდი ჯგუფი.

სულ დაჯილდოებულია 15.704 კაცი, აქედან ლენინის ორდენით — 1.164, შრომის წითელი დროშის ორდენით — 2.957, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 4.801, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ — 6.782 კაცი. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებებისათვის, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა მებამბეობის განვითარებაში, უზბეკეთის სსრ 200 კოლმეურნეს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. (საკდესი).

სახალხო ზეიმი უზბეკეთში

უზბეკ ხალხს, რომელმაც თავდადებული შრომით ხელი გაუთქვა თავის რესპუბლიკას, მიენიჭა მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

13 იანვარს ტაშკენტში, უზბეკეთის ნავოის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, გაიმართა უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებული საზეიმო სხდომა. თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ წარჩინებული ადამიანები — წარმოების ნოვატორები, უხვი მოსავლის სახელგანთქმული ოსტატები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები. სხდომას ესწრება მრავალი სტუმარი მოძმე რესპუბლიკებიდან.

შეკრებილთა თვალი მიპყრობილია სცენისაკენ, სადაც ოქროვანი ფერდრეოშებსა და ცოცხალ ყვავილებში დგას უკვდავი ლენინის ბიუსტი. სცენის თავზე ელავს საბრძოლო მოწოდების სიტყვები: „მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“

დილის 10 საათია. სხდომის მონაწილენი გულთბილად ხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის, უზბეკეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, საკოლმეურნეო მინდვრების, სამრეწველო საწარმოების სახელგანთქმულ მშრომელთა, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციების ხელმძღვანელთა გამოჩენას პრეზიდიუმის მაგიდასთან.

საზეიმო სხდომას ხსნის უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი. იგი ამბობს, რომ 1956 წელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევა როგორც საბჭოთა ხალხის დიდ სამეურნეო წარმატებათა წელი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დიდებული წინასწარდასახულობებით აღფრთოვანებულმა საბჭოთა კავშირის მშრომელებმა განვლილი წლის მანძილზე დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. უზბეკი ხალხი გულწრფელად შეჰხარის მოძმე რესპუბლიკების — ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეების, მოსკოვის, ჩკალოვის, ომსკის, ნოვოსიბირსკის, ჩელიაბინსკის, სარატოვისა და ვორონეჟის ოლქების სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებებს, რომელთაც მიენიჭათ უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი. უზბეკ ხალხთან ერთად მის შრომითს გამარჯვებას დღესასწაულობს ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მოძმე ხალხი.

შემდეგ ამხ. რაშიდოვი აცხადებს, რომ საზეიმო სხდომაში მონაწილეობას იღებენ დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილის ამხ. ძინ ჯაოლუნის მეთაურობით, აგრეთვე სტუმრები მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქებიდან, უკრაინის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის სს რესპუბლიკებიდან.

ამ ცნობას დამსწრენი მხურვალე ტაშით ხვდებიან.

უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ყველა მშრომელის სახელით ამხ. რაშიდოვი გულითად სალამს უძღვნის სასურველ სტუმრებს, რომლებიც რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ.

ნება მიბოძეთ თქვენი სახელით, უზბეკი ხალხის სახელით, ამბობს იგი, პირობა მივცე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ჩვენს ძვირფას სტუმრებს — მოძმე რესპუბლიკების წარმოგზავნილებს, რომ უზბეკეთის მებამბეები, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი პირნათლად გაამართლებენ მაღალ ჯილდოს, არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა 1957 წელს ღირსეულად შეასრულონ თავიანთი პატრიოტული მოვალეობა და მისცენ ჩვენს ქვეყანას 3 მილიონი ტონა ბამბა.

ამხ. რაშიდოვის დასკვნითი სიტყვები ხანგრძლივ ტაშს იწვევს დარბაზში. გაისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

სიტყვას ამბობს პარტიის ტაშკენტის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნურუტდინოვი. მისი წინადადებით საზეიმო სხდომის მონაწილენი უდიდესი ერთსულოვნებით ირჩევენ სხდომის საპატიო პრეზიდიუმში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. მის გამოჩენას ტრიბუნაზე სხდომის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ამხანაგებო! მე წილად მხვდა დიდი პატივი დავესწრო უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომას უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან და მშრომელთა აქტივთან ერთად და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით გადავცე ლენინის ორდენი უზბეკეთის სს რესპუბლიკას.

თქვენ ჯილდოს იღებთ დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რომელიც კოლმეურნეებმა, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და მეცნიერებმა, პარტიულმა, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გასწიეს საბჭოთა მებამბეობის განვითარების საქმეში.

ამხანაგებო! ეს ჯილდო მოპოვებულია უზბეკი ხალხის შრომით, უზბეკ მებამბეთა შრომით. უზბეკეთის სსრ ყველაზე დიდი რესპუბლიკაა შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებში, იგი ბევრ ბამბას აძლევს ჩვენს ქვეყანას. ამ წლისათვის დასახული ამოცანა — მისცეთ ჩვენს ქვეყანას სამი მილიონი ტონა ნედლი ბამბა უნდა განვიხილოთ როგორც ახალი ეტაპი ბამბის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში. დარწმუნებული ვარ, რომ უზბეკი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები მიაღწევენ ამ მიზანს და მიიღებენ სამ მილიონ ტონა ბამბას. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მივულოცო უზბეკ ხალხს მაღალი ჯილდო, მოპოვებული გულმოდგინე შრომით, რომელიც უზბეკმა ხალხმა მოახმარა სოციალისტური მშენებლობის საქმეს.

წარმატებანი, რომლებსაც უზბეკეთის სსრ კოლმეურნეებმა, მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, აგრონომებმა, ზოოტექნიკოსებმა, მეცნიერებმა მიაღწიეს, იმ გამარჯვებათა შედეგია, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიისა და მანქანათმშენებლობის განვითარებაში, მეცნიერების განვითარებაში. ყოველივე ეს არის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც კოლმეურნე გლეხობამ დიდი წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობის განვითარებაში, საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც თქვენმა რესპუბლიკამ დაიმსახურა მაღალი ჯილდო.

ამხანაგებო! უზბეკეთის სს რესპუბლიკასა და შუა აზიის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს უდიდესი მიღწევები აქვთ. მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირშიც კი ყველას როდი აქვს წარმოდგენილი ეს მიღწევები, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ნაყოფია.

მესამედ ვარ უზბეკეთში. ვყოფილვარ შუა აზიის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც, ვიცნობდი ამ ხალხებს წინათაც. ხშირად შევხვედრივარ უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, აგრეთვე ყაზახეთისა და სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებს, ვიცოდი ამ რესპუბლიკების ხალხთა ნიჭისა და შრომითი წარმატებების შესახებ. მაგრამ ვერაფერი ვერ შეცვლის იმ შთაბეჭდილებას, როდესაც თვითონ ნახავ ყველაფერს, როდესაც შეხვდები ადამიანებს, მოივლი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო საწარმოებს.

თქვენი მიღწევები კოლოსალურ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ცალკეულ ამხანაგებს ჯერ კიდევ არა აქვთ სრული წარმოდგენა ამ რესპუბლიკებზე და მათს ხალხებზე. ზოგიერთი ცხოვრობს ძველი ცნებებით, რომლებიც შექმნილია წარსული დროის გეოგრაფიულ აღწერათა და მხატვრული ლიტერატურის მიხედვით, როდესაც შუა აზიის რესპუბლიკების ხალხებს გვიხატავდნენ როგორც ჩამორჩენილთ. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ამ რესპუბლიკების ხალხები განსაკუთრებით შორს წავიდნენ თავიანთ განვითარებაში, მათ დააგროვეს დიდი ძალები, შექმნეს თავიანთი ეროვნული კადრები, აღზარდეს მეცნიერები, თავიანთი ინტელიგენცია. მათ მიაღწიეს ისეთ საწარმოო შედეგებს, რომლებთაც ჩვენ ყველანი კანონიერად ვამაყობთ. **(მჭუხარე ტაში).**

უზბეკეთის სს რესპუბლიკისა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების წარმატებანი თვალსაჩინო განხორციელებაა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა მუშათა კლასის გამარჯვების შესახებ, მშრომელ გლეხობასთან, მთელ მშრომელ ხალხთან კავშირით მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების მოპოვების შესახებ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ახლა იმპერიალისტებმა გააფთრებული ღმუილი ატეხეს საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ. კაცმა რომ თქვას, იგი მათ არც კი შეუწყვეტიათ. ეს სავსებით გასაგებია. იმპერიალისტთა მესვეურები ვერ შერიგებიან იმას, თუ რა წარმატებით ვითარდებიან საბჭოთა კავშირი და ყველა სოციალისტური ქვეყანა, თუ როგორ ძლიერდება სახალხო მეურნეობა ამ ქვეყნებში, მათი კულტურა, როგორ უმჯობესდება მშრომელი მასების კეთილდღეობა.

ამხანაგებო! თქვენ, ალბათ, წაიკითხავდით ეგრეთწოდებული „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე იყო ბევრი სხვადასხვა დოქტრინა, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იყო ჩერჩილის დოქტრინა, ტრუმენის დოქტრინა, იყო მრავალი სხვადასხვაგვარი წინასწარმეტყველება საბჭოთა კავშირის, ჩვენი ქვეყნის ხალხებისა და ჩვენი მონაპოვრების შესახებ. მაგრამ ყველა ეს დოქტრინა და წინასწარმეტყველება ჩაიფუშა. საბჭოთა კავშირი დგას როგორც გრანიტის კლდე და ღღითიდღე მატულობს მისი ძალები, მტკიცდება მეურნეობა, ძლიერდება თვით ხალხი. მსოფლიოში სულ უფრო მატულობს იმ ხალხთა რიცხვი, რომლებმაც ან უკვე მოიპოვეს თავიანთი ხელისუფლება, მაღლა ასწიეს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა და ამ დროშით წარმატებით აშენებენ სოციალიზმს, ან ამ დროშით ეწევიან ბრძოლას კაპიტალიზმის უღლისაგან თავიანთი განთავისუფლებისათვის, წარმატებით უტევენ კაპიტალისტურ პოზიციებს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბ-ნმა ეიზენჰაუერმა მოსთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს — უფლება მისცეს გამოიყენოს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ახლო და შუა აღმოსავლეთში ყოველ მომენტში, როცა იგი ამას საჭიროდ დაინახავს, ისე რომ აღარ სთხოვოს ნებართვა კონგრესს, მისცეს რწმუნება სამხედრო და ეკონომიური „დახმარება“ გაუწიოს ამ რაიონის ქვეყნებს. ბ-ნი ეიზენჰაუერი საქმეს ისე სახავს, თითქოს საბჭოთა კავშირს სურდეს დაიპყროს ეს რაიონები, და რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა რაღაც ღონისძიებები განხორციელდესო. იცით რა, ადამიანი დიდი ფანტაზიორი უნდა იყოს, რომ ასეთი ბრალდება წაუყენოს საბჭოთა კავშირს.

იმპერიალისტები ამბობენ, რომ კომუნიზმი ისწრაფვის შეუტიოს და კიდევაც შეუტია ეგვიპტეს. მაგრამ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ეგვიპტეს უტევდნენ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარები, რომლებიც დაპყრობითს ომს აწარმოებდნენ ეგვიპტელთა წინააღმდეგ, არაბთა წინააღმდეგ.

ვინ აიმაღლა პროტესტის ძლიერი ხმა ამ იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ? საბჭოთა კავშირმა. მან არა მარტო პროტესტის ხმა აიმაღლა, არამედ მტკიცე გაფრთხილებაც მისცა აგრესორებს. და ახლა ყველამ იცის, რომ საბჭოთა კავშირს ცოტა დამსახურება როდი მიუძღვის ეგვიპტეში ომის შეწყვეტაში. **(მჭუხარე ტაში).**

მართალია, ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ რამდენადმე ამერიკის შეერთებული შტატებიც გამოვიდნენ. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს სრულიადაც არ გამოუწვევია იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს სურთ დაეხმაროონ არაბთა ქვეყნებს მათი თავისუფლების განმტკიცებაში.

არა, ეს როდი სურს ბ-ნ ეიზენჰაუერს. იგი ხედავს, რომ ბრიტანეთის ლომი, რომელიც თავისი ბრდღვინვით ოდესღაც შიშს ზარს სცემდა აზიისა და აფრიკის ბევრ ხალხს, დაჩაჩანაკდა, დასუსტდა, ხმა ჩაეხლიჩა და ახლა კუდი ეგვიპტეში დატოვა. **(ტაში).**

და ახლა ამ ლომის შესაცვლელად, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის შესაცვლელად ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონებში ამერიკის იმპერიალიზმი მიილტვის.

ჩვენ დიდი ისტორიული ამბების მოწმენი ვართ. ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარები, რომლებიც თავს დაესხნენ ეგვიპტეს, არსებითად გლეხურ ქვეყანას, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს თავისი მრეწველობა, იძულებული გახდნენ პირში ჩალაგამოვლებული წასულიყვნენ იქიდან.

არაბთა ქვეყნების ხალხები, რომლებმაც თავიანთ თავზე გამოსცადეს, თუ რას ნიშნავს ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმის ბატონობა, და ახლა იგემეს კოლონიური ჩაგვრისაგან ეროვნული განთ

სახალხო ზეიმი უზბეკეთში

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

ვიყოყოჩოთ. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. აიღეთ უზბეკეთის სსრ, რომელიც სამართლიანად არის დაჯილდოებული ყველაზე მაღალი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. უზბეკნი ხალხმა ეს ჯილდო დაიმსახურა. მაგრამ განა ვისმე თქვენგანს შეუძლია თქვას, რომ გამოყენებულია რესპუბლიკის ყველა შესაძლებლობა, რომ იგი მიადგა რაღაც ზღვრულ ზღუდეს? ვფიქრობ, რომ ასეთი კაცი უზბეკეთში არ არის და არც შეიძლება იყოს იმიტომ, რომ წინსვლას ზღვარი არა აქვს. თქვენში ახლა ბამბის მოსავლიანობა ჰექტარზე 22,3 ცენტნერია. მაგრამ აქ გვერდით სხედან ამხანაგი ტაჯიკები, რომლებმაც საშუალოდ რესპუბლიკაში ჰექტარზე 25 ცენტნერზე მეტი ბამბა მიიღეს, ე. ი. სამი ცენტნერით მეტი, ვიდრე თქვენ. მაგრამ ესეც არ არის ზღვარი. უზბეკეთში არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომლებმაც 30-40 ან 40 ცენტნერზე მეტიც მიიღეს ჰექტარზე. არიან ბრიგადები, რომლებიც 60 ცენტნერს იღებენ ჰექტარზე. ხოლო 60 ცენტნერი — განა ეს ზღვარია? არც ეს არის ზღვარი. ეს არის ზღვარი დღეს, ხოლო ხვალ მასზე ვილაპარაკებთ, როგორც განვლილ ზღვარზე.

ამიტომ უნდა ვიშრომოთ, შემდგომ განვავითაროთ ჩვენი მიწათმოქმედება, ჩვენი მრეწველობა, ჩვენი კულტურა. ყურადღება უნდა მივაქციოთ შრომის უფრო რაციონალურ ხარჯვას, იმას, რომ დახარჯული შრომა საუკეთესო შედეგებს იძლეოდეს. აქ ჩვენ ყველაფერი საკმაოდ როდი გვაქვს მოფიქრებული და ყველაფერი როდი გვაქვს გამოყენებული.

ახლა შეიძლება გაიგონოთ, ჩვენში ამდენი და ამდენი მილიონერი კოლმეურნეობაა. ეს ზოგიერთ რაიონში ქების საზომია, მოპოვებული შედეგების შეფასების საზომია. ამხანაგებო, საჭიროა კრიტიკულად მოვეკიდოთ ქების ასეთ საზომს, არ დავივიწყოთ, რომ მოხდა კოლმეურნეობათა გამსხვილება. მაგალითად, იყო ხუთი კოლმეურნეობა. თვითეული მათგანი იღებდა 200 ათას მანეთ შემოსავალს. ეს ხუთი კოლმეურნეობა გაერთიანდა, და კოლმეურნეობა მილიონერი გახდა. ზოგიერთი ასეთი „მილიონერი“ როგორც ჩამორჩენილი იყო, ასეთივეა ახლაც. ეს რა მილიონერია? **(სიცილი).** მილიონიანი შემოსავალი — ზრდის მაჩვენებელი როდია, ეს ერთობ პრიმიტიული ცნებაა მეურნეობის განვითარების შესაფასებლად. უნდა ვიხელმძღვანელოთ სხვა მაჩვენებლებით, რომლებიც მოგვიწოდებენ ვიაროთ წინ, დავრაზმოთ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ძალები. ასეთი მაჩვენებელია ერთ ჰექტარ მიწაზე მიღებული შემოსავალი. აი დღეს ჩვენ ვიყავით ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ვეაუბრეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და მებაღეს — შესანიშნავ ადამიანს რიზამატ მუსა მუჰამედოვს. ვეკითხები კოლმეურნეობის თავმჯდომარეს:

— რა შემოსავალს იძლევა ერთი ჰექტარი ვენახი?

იგი მიპასუხებს:

— ას ოც ათას მანეთს.

— რა შემოსავალს იძლევა ერთი ჰექტარი ბრინჯი?

მან დაასახელა ციფრი 16 ათასი მანეთი.

— რა შემოსავალს იძლევა ჰექტარი ბამბა?

— თხუთმეტ ათას მანეთს, — მიპასუხებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საუბარში გამოირკვა, რომ ვენახის პროდუქციის ერთეულზე შრომა გაცილებით ნაკლები იხარჯება, ვიდრე ბრინჯზე. ეს საინტერესო ციფრებია. წარმოებაში დახარჯული ყოველი შრომადღე ამ მეურნეობაში კარგად ნაზოაურდება. უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ ეკონომიკას, უფრო ნაყოფიერად გამოვიყენოთ ჩვენი შრომა — ეს არის ჩვენი წინსვლის საწინდარი.

შრომის ნაყოფიერების გადიდება, დახარჯული შრომის ერთეულზე პროდუქტის წარმოების გადიდება ძირეული საკითხია, ამხანაგებო. მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე შეგვიძლია მოვიპოვოთ გამარჯვება ეკონომიურ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან. ეჭვი არ არის, რომ უმოკლეს ვადაში და წარმატებით გადავჭრით ამ ამოცანას. ეს დაამტკიცა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიამ, ეს დაამტკიცა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიამ, დაამტკიცა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ.

მაგრამ არ შეიძლება დავჯერდეთ პირველ წარმატებებს. თუ ჩვენს პრაქტიკას გადავხედავთ, ჩვენს მუშაობაში კარგად გავერკვევით, ბევრ არარაციონალურ რამეს დავინახავთ.

ამ ცოტა ხნის წინათ გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, სადაც განხილულ იქნა დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო საკითხები. პლენუმზე ულრმესად გააკრიტიკეს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი. მომავალშიც გაჰედულად უნდა გამოვავლინოთ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი, რათა უფრო ჩქარა აღმოვფხვრათ ისინი. კომუნისტები უნდა დაესგავსონ ქირურგს, რომელიც იღებს ბასრ დანას და ახდენს ოპერაციას ადამიანის სხეულზე, რათა ამოჭრას მტკივნეული ხორცმეტები და ამით ხელი შეუწყოს ორგანიზმის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას. აი ასე ვეპყრობით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ჩვენს მუშაობას. ჩვენც აგრეთვე, როცა საჭიროა, უნდა ავიღოთ ქირურგის დანა და გაბედულად ამოვჭრათ მტკივნეული ხორცმეტები, რათა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოებრივი ორგანიზმი უფრო სწრაფად ვითარდებოდეს და „ძალებს იკრებდეს. **(მქუხარე ტაში).**

როცა დამსახურებულ ქებას ვიღებთ, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ნაკლოვანებანი, იმიტომ რომ ამას შეუძლია გამოიწვიოს ყოყოჩობა, ხოლო ყოყოჩობა ჩვენი საქმის მტერია. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დამსახურებული მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი — თავბრუს არ დაგახვევთ, არ გამოიწვევს თქვენს ყოყოჩობას. პირიქით, იგი აღაფრთოვანებს მთელ უზბეკ ხალხს, შემატებს უფრო მეტ ძალას, უფრო მეტ სურვილსა და ენერგიას რესპუბლიკის შემდგომი განვითარებისათვის, მთელი ბუნებრივი სიმდიდრის შემდგომი გამოყენებისათვის, იმისათვის ბრძოლაში, რომ ეს სიმდიდრე ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ. ამით გაადიდებთ არა მარტო თქვენს სიმდიდრეს, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის სიმდიდრეს. ჩვენ ძლიერი და უძლეველი ვართ იმის მეოხებით, რომ მუდამ განვამტკიცებდით და კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენი ხალხების მეგობრობას. **(ტაში).**

სასიამოვნოა, ამხანაგებო, იმის აღნიშვნა, რომ უზბეკეთის რესპუბლიკაში, ისევე როგორც ყველა სხვა ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებში, ერთსულოვნად ცხოვრობს და მუშაობს საბჭოთა კავშირის ბევრი ეროვნება. ახლა ჩვენში არ არის ეროვნული საკითხი იმ აზრით, როგორც იგი ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს ესმით. ჩვენში არის ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დარაზმულობა და მეგობრობა, იმიტომ რომ თვითეული ხალხი ჩვენი დიადი სოციალისტური საზოგადოების სასურველი წევრია. და ყველასათვის ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფილია სამუშაო, თვითეულს ეძლევა დამსახურებისამებრ ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირის მოქალაქეს ეკუთვნის. **(ტაში).**

ერთხელ კიდევ გილოცავთ ლენინის ორდენით რესპუბლიკის დაჯილდოებას, ჯილდოს ვულოცავ ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მეცნიერებს, პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს, რომლებმაც შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს მებამბეობის განვითარებაში. შეინახეთ ეს ორდენი, დაიცავით თქვენი რესპუბლიკის ღირსება. და დე ლენინის ეს ორდენი იყოს უზბეკი ხალხის სიამაყე, დე იგი მოგიწოდებდეთ ახალი გამარჯვებებისაკენ, ახალი მიღწევებისაკენ ყველა ხალხის საკეთილდღეოდ, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული ოჯახის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის. ჩვენი ხალხის ინტერესები კი ემთხვევა მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის ინტერესებს.

გაუმარჯოს უზბეკეთის ხალხს, რომელმაც პატიოსნად და ღირსეულად იმუშავა და მოიპოვა მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი! **(ყველანი ფეხზე დგებიან, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს უზბეკეთის მოწინავე ადამიანებს, რომლებიც ღირსნი გახდნენ სოციალისტური შრომის გმირის წოდებისა, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომისათვის დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს უზბეკეთის კომუნისტურ პარტიას, რომელიც ღირსეულად რაზმავს თავის ხალხს და მიჰყავს იგი დიდი ლენინის მიერ დასახული გზით! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ კავშირს! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს დიად კომუნისტურ პარტიას — პარტიას, რომელიც შექმნა ჩვენმა უკვდავმა მასწავლებელმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).**

* * *

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ა. მუხიტდინოვს გადასცემს ლენინის ორდენს, რომლითაც დაჯილდოებულია რესპუბლიკა, და კვლავ დარბაზში რამდენიმე წუთს გრძელდება ტაში.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან წარმოების მოწინავეები, უხვი მოსავლის ოსტატები. ტაშკენტის ოლქის ოქტომბრის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სამგზის სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ხ. ტურსუნკულოვი, ტაშკენტის კაგანოვიჩის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა ამხ. ვ. ტ. კოეეჩკინი, პარტიის პახტაარალის რაიკომის პირველი მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ქ. ნიგმატშაევი, ბამბის წარჩინებული მკრეფავი, ამჟამად ბუხარის ოლქის კავალამახმუდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ჩ. შარაპოვა და სხვები ღრმა მადლობას უძღვნიან კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მებამბეებისათვის დიდი ზრუნვის გამო. ისინი პირობას იძლევიან, რომ უზბეკეთის მშრომელები მიღწეულს არ დასჯერდებიან, გაამრავლებენ წარმატებებს მუშაობაში, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ვადამდე შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დავალებანი მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის მუშაკთა დელეგაციის ხელმძღვანელის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილის ამხ. ძინ ჯაოლუნის გამოსვლას. მან ჩინელი ხალხის სახელით მხურვალე სალამი გადასცა და გულითადად მიულოცა უზბეკეთის მშრომელებს, კიდევ უფრო დიდი წარმატებანი უსურვა მათ მომავალში.

გამოდიან მოძმე რესპუბლიკების დელეგაციების ხელმძღვანელები — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ტ. ულჯაბაევი, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. რაზაკოვი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. დურდიევა, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. კ. შაკოიანი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. გ. კორიტკოვი, მოსკოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ი. მ. სკაჩკოვი, აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. გ. ა. სეიდოვი. ულოცავენ რა უზბეკეთის მშრომელებს მოპოვებულ გამარჯვებას და მთავრობის მაღალ ჯილდოს, ისინი ლაპარაკობენ ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაზე, საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობაზე, გამოთქვამენ რწმენას, რომ უზბეკეთის მშრომელები ახალი, უფრო მნიშვნელოვანი შრომითი მიღწევებით გაახარებენ სამშობლოს.

სიტყვა ეძლევა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ნ. ა. მუხიტდინოვს.

ამხანაგ ნ. ა. მუხიტდინოვის სიტყვა

— დღეს, — ამბობს იგი, — დაუვიწყარი საზეიმო დღეა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. ეს დღე სამუდამოდ დარჩება უზბეკეთის მშრომელთა ხსოვნაში, რომელთა გული გამსჭვალულია მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით.

უზბეკეთის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის სახელით, რომელნიც გაერთიანებულ სხდომას ესწრებიან, ყველა მშრომელის სახელით ამხ. მუხიტდინოვმა ღრმა და გულითადი მადლობა უძღვნა კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას ლენინის ორდენით რესპუბლიკის დაჯილდოებისათვის და აღუთქვა, რომ უზბეკი ხალხი არ დაზოგავს ძალღონესა და შემოქმედებითს ენერგიას, რათა პირნათლად გაამართლოს მისი შრომის ეხოდენ მაღალი შეფასება და წარმატებით შეასრულოს ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკას დაუსახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

— ნება მიბოძეთ, — ამბობს შემდეგ ამხ. მუხიტდინოვი, — ამ ტრიბუნიდან მთელი უზბეკი ხალხის სახელით მხურვალედ მივულოცო მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს დიდი შრომითი გამარჯვებანი მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს.

საბჭოთა უზბეკეთის, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, წარმატებანი მოწმობენ ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მარადიულ და ურღვევ მეგობრობას. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი უზბეკი ხალხი ძმობისა და მეგობრობის გრძნობით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისადმი. ამ წმიდა მეგობრობის განმტკიცება მას მიაჩნია შემდგომ გამარჯვებათა საწინდრად. ამ მეგობრობას ჩვენ კვლავაც თვალისჩინივით გავუფრთხილდებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამით აღფრთოვანებულმა საბჭოთა კავშირის მშრომელებმა 1956 წელს თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

კაცობრიობის ისტორიისათვის ერთი წელი შედარებით მცირე ვადაა. მაგრამ ჩვენმა ქვეყანამ დროის ამ მონაკვეთში ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო ძლიერი გახდა, გაიზარდა მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა.

1956 წელმა ახალი დიდი გამარჯვება მოუტანა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალებს. იმპერიალისტური რეაქციის აგრესიული გეგმები — ხელი შეეშალათ ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის — სავსებით ჩაიფუშა.

საბჭოთა კავშირმა მშვიდობისა და უშიშროების დაცვის თავისი აქტიური საგარეო პოლიტიკით მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანის ღრმა მადლობა და მხურვალე სიმპათია მოიხვეჭა. განუზომლად გაძლიერდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

გასულ წელს შესანიშნავი გამარჯვებები მოიპოვეს სოციალისტური უზბეკეთის მშრომელებმაც. წარმატებები, რომლებსაც რესპუბლიკამ სოფლის მეურნეობის დარგში და განსაკუთრებით მებამბეობაში მიაღწია, მოწინავე აგროტექნიკის დანერგვის შედეგია, მებამბეობის ყველა რესპუბლიკის ძმური ურთიერთ დახმარების და საბჭოთა უზბეკეთისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგია. მებამბეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი შესანიშნავი გამოვლინება იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება გოლოდნაია სტეპის უამირი მიწების მორწყვისა და ათვისების შესახებ. უზბეკეთისა და ყაზახეთის მშრომელებმა ეს დადგენილება მიიღეს როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა, და შორს არ არის ის დრო, როცა გოლოდნაია სტეპი მებამბეობის უდიდეს რაიონად გადაიქცევა.

მებამბეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების წარმატებანი წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო გმირი მუშათა კლასისა და სახელოვანი ინტელიგენციის აქტიური დახმარება, იმათი დახმარება, ვინც სოფლის მეურნეობისათვის ქმნის ენერგეტიკულ ბაზას, ვინც მისთვის სულ უფრო მზარდი რაოდენობით უშვებს მინერალურ სასუქებს, ტრაქტორებს, მანქანებს.

— ამიტომ, — ამბობს ამხ. მუხიტდინოვი, — ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, უზბეკეთის მშრომელთა სახელით მხურვალე გულითადი სალამი, დიდი უზბეკური რაჰმათი გადავცე მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, სტალინგრადის, ჩელიაბინსკის, ხარკოვის, ვლადიმირის, ივანოვოს და ჩვენი ქვეყნის იმ სხვა სამრეწველო ცენტრების სახელოვან მუშათა კლასს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომელნიც აწარმოებენ ტრაქტორებსა და მანქანებს მებამბეობისათვის და ეწევიან ბამბის გადამუშავებას სახალხო მოხმარების საქონლად, რესპუბლიკის ყველა მანქანათმშენებელს, ქიმიკოსს, ფეიქარს.

ჩვენ ვცხოვრობთ მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ერთიან ძმურ ოჯახში. ყოველ რესპუბლიკას შეაქვს თავისი წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საყოველთაო-სახალხო საქმეში. უზბეკი ხალხის უმნიშვნელოვანეს წვლილს, მის ინტერნაციონალურ მოვალეობას წარმოადგენს ბამბის წარმოების გადიდება. ამისათვის, ამხანაგებო, კვლავაც დაუცხრომლად ვიმუშავებთ, ძალების ახალი დაძაბვით, ახალი დაუცხრომელი ენერგიით.

შემდეგ ამხ. მუხიტდინოვი ლაპარაკობს რესპუბლიკის მიერ სახალხო მეურნეობის 1956 წლის გეგმის შესრულების ზოგიერთ შედეგზე. მრეწველობამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფო პროგრამა და გეგმის გადაჭარბებით მოგვცა 800 მილიონ მანეთისაზე მეტი სხვადასხვა პროდუქცია. წარმატებით გაართვეს თავი ამოცანებს მანქანათმშენებელი, ქვანახშირის, ნავთობის, ქიმიური, მსუბუქი, ადგილობრივი კოოპერაციული და თევზის მრეწველობის მუშაკებმა, აგრეთვე სასურსათო საქონლის მრეწველობის საწარმოებმა. გასულ წელს უკეთ მუშაობდნენ მშენებლებიც. შესრულებულ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1955 წელთან შედარებით გადიდდა 650 მილიონი მანეთით. საექსპლოატაციოდ გადაეცა ბევრი ახალი სამრეწველო, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტი.

— ჩვენ განსაკუთრებით ვამაყობთ, — განაგრძობს ამხ. მუხიტდინოვი, — სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებით, რომლებმაც ქალაქების მუშების, მოსამსახურეების, სტუდენტებისა და მოსწავლეების აქტიური დახმარებით დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 2 მილიონ 860 ათასი ტონა ბამბა, თითქმის 400 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1955 წელს. იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რას ნიშნავს ეს, აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ გასულ ხუთ წელიწადში, 1950-1955 წლებში, ბამბის წარმოება გადიდდა სულ მხოლოდ 257 ათასი ტონით.

იმდენი ბამბა, რამდენიც გასულ წელს, უზბეკეთს ჯერ არასოდეს არ ჩაუბარებია.

მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს წელიწადი ჩვენმა მეაბრეშუმეებმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 34 ათასი ცენტნერით მეტი აბრეშუმის პარკი, ანუ მესამედით მეტი, ვიდრე 1955 წელს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ლაფნეული კულტურების წარმოება. ამ დიდმნიშვნელოვანი ნედლეულის წარმოებით უზბეკეთის რესპუბლიკას ამჟამად მსოფლიოში მეორე ადგილი უკავია (ინდოეთის შემდეგ).

ვადამდე შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ჩაბარების გეგმა. გასულ წელს რესპუბლიკაში მეტი ყურადღება ექცეოდა ბრინჯის თესვას. გადიდდა ამ ძვირფასი სასურსათო კულტურის ნათესი ფართობები და მოსავლიანობა.

გაიზარდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა, გადიდდა მისი პროდუქტიულობა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის კრაველის ჩაბარების დავალება. საფუძველი ჩაეყარა ნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებას.

ხილი და ყურძენი დამზადდა დაახლოებით 70 ათასი ტონა, ერთიორად მეტი, ხოლო ხმელი ხილი და ქიშმიში ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1955 წელს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების წარმატებებმა განაპირობეს მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შესამჩნევი გაუმჯობესება. საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1955 წელთან შედარებით გადიდდა 3 მილიარდი მანეთით და მეტით, ხოლო შრომადღის ღირებულება ერთნახევარჯერ გაიზარდა.

გასულ წელს გარკვეული წარმატებებია მოპოვებული მეცნიერებისა და კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში. შეიქმნა ატომგულის ფიზიკის, მცენარეული ნედლეულისა და ბამბის, ქიმიის, წყლის პრობლემებისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და იქმნება გამოთვლითი ცენტრი. კვალიფიციური კადრებით განმტკიცდა მეცნიერებათა აკადემია. გაიხსნა ახალი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები.

მთელმა ამ ღონისძიებებმა მკაფიოდ ცხადყვეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება, ინტელიგენციის კადრების ზრდა და მათი მზადყოფნა მთელი თავიანთი ძალები და ცოდნა მოახმარონ ხალხის, მშობლიური კომუნისტური პარტიის ერთგულ სამსახურს.

ამხანაგებო! პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს უზბეკეთის კოლმეურნეებისა და მუშების, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სპეციალისტების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების შრომას. 16 ათასამდე კაცი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო მებამბეობის 200 წარჩინებულ ოსტატს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ქება-დიდება რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს! დაე იზრდებოდნენ და მრავლდებოდნენ მათი რიგები!

შემდეგ ამხ. მუხიტდინოვი ლაპარაკობს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლასთან, აღნიშნავს ნაკლოვანებებს ბევრი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს საქმიანობაში. ჯერ კიდევ ყველა საწარმო როდი ასრულებს სახელმწიფო გეგმას. ბევრ ქარხანასა და ფაბრიკაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე ამოქმედებული არ არის არსებული რეზერვები შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის ამაღლებისათვის. ნელა ინერგება წარმოებაში ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, წარმოების პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია. ყველაზე ჩამორჩენილი უბანი წინანდებურადვე არის კაპიტალური, განსაკუთრებით საბინაო მშენებლობა.

ცოტა შეცდომა როდი დაგვიშვია სოფლის მეურნეობაშიც. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ვერ ასრულებდა ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს ბამბის მოყვანაში, რის შედეგადაც მთლიანად რესპუბლიკაში სახელმწიფოს ჩავაბარეთ 140 ათასი ტონით ნაკლები ბამბა, ვიდრე პირობა დავდეთ წარსულ ყურულტაიზე.

ჯერ კიდევ დაბალია რესპუბლიკაში მარცვლეული კულტურების და განსაკუთრებით სიმინდისა და ჯუგარის მოსავლიანობა. უყურადღებოდ არის მიტოვებული იონჯის მეურნეობა.

ამხ. მუხიტდინოვმა ღრმა ანალიზი გაუკეთა მეცხოველეობის მდგომარეობას. მან აღნიშნა, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სერიოზულად ჩამორჩება სოფლის მეურნეობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი.

ახალ, 1957 წელს რესპუბლიკის წინაშე დასახულია დიდი ამოცანები სარეწველო წარმოების შემდგომი განვითარების, პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების და სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის უზრუნველყოფის საქმეში. განსაკუთრებით დიდად განვითარდება ქვანახშირის მრეწველობა, ენერგეტიკა და საშენ მასალათა წარმოება. 1957 წელს ერთიორად და მეტად გადიდდება სახელმწიფო და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა.

ილაპარაკა რა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, ამხ. მუხიტდინოვმა თქვა:

— ჩვენ ამოცანად ვისახავთ — 1957 წელს რძის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აციყვანოთ 224 ათას ტონამდე და თვითეული ძროხისაგან წელიწადში მივიღოთ 900 კილოგრამი რძე კოლმეურნეობებში და 2.450 კილოგრამი — საბჭოთა მეურნეობებში; ვაწარმოოთ 129 ათასი ტონა ხორცი, 17 ათას ტონამდე [illegible] ბეწვზე მეტი კვერცხი და სულ ცოტა ერთმილიონ 400 ათასი ცალი კრაველი.

მეცხოველეობის პროდუქციის ასეთი გადიდების უზრუნველსაყოფად საჭიროა უკვე წელს სულ ცოტა ერთიორად გადიდდეს 1956 წელთან შედარებით საკვების წარმოება, ამაღლდეს მეცხოველეობაში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დონე.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის საჭიროა ვიბრძოლოთ ისეთივე ენერგიით და სიმტკიცით, როგორც ვიბრძვით მებამბეობის განვითარებისათვის. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების განუწყვეტელი გადიდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ერთ-ერთი გადაუდებელი, საარსებო ამოცანაა.

რესპუბლიკის წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული ბამბის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. მიმდინარე წელს უზბეკეთის მებამბეებმა უნდა მისცენ სამშობლოს სულ ცოტა სამი მილიონი ტონა ნედლი ბამბა. ამისათვის საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების არსებული დიდი რეზერვები, განვახორციელოთ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი მიწათმოქმედების მოწინავე კულტურის დასანერგავად, უფრო ფართოდ დავნერგოთ და მთლიანად ავითვისოთ ბამბის მოყვანის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, უზრუნველვყოთ ნათესების დამუშავება ორი მიმართულებით, გავაძლიეროთ მტს-ების როლი მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში, მოწინავეთა დონემდე ავიყვანოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები.

უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები, რომლებიც 1957 წელს უნდა გადაიჭრას, მოითხოვენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის მეთოდების შემდგომ გაუმჯობესებას, მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებას, მეცნიერების მიღწევებისა და წარმოების მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, მშრომელთა ფართო მასებთან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების კავშირის ყოველი ღონისძიებით გაფართოებასა და განმტკიცებას, ჩვენს კადრებში ბიუროკრატიზმის, ყოყოჩობისა და ბაქიობის გადაჭრით აღმოფხვრას. საჭიროა გავაძლიეროთ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, გადაჭრით განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ამოცანაა ყოველი ღონისძიებით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ოლქებს, რაიონებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მტს-ებს, ბრიგადებსა და ოჯახებს შორის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის. შესანიშნავ შედეგს იძლევა მებამბეობის მომძე რესპუბლიკების შეჯიბრება. ჩვენ კვლავაც მაღლა ვატარებთ ამ შეჯიბრების დროშას, გავუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას სამეურნეო და კულტურული მ

ახლო და შუა აღმოსავლეთში შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ

საკდესის განცხადება ეგრეთწოდებულ „ეიზენჰაუერის დოქტრინასთან“ დაკავშირებით

5 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ-ნმა ეიზენჰაუერმა კონგრესს მიმართა სპეციალური წერილით ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ. პრეზიდენტმა თავის წერილში, რომელიც სავსეა ანტისაბჭოთა გამოხდომებით, ახლანდელი მდგომარეობა ახლო და შუა აღმოსავლეთში დაახასიათა როგორც „კრიზისული“ და მოითხოვა ნება დართონ მას ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები გამოიყენოს ახლო და შუა აღმოსავლეთში ყოველ მომენტში, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევს, ისე, რომ კონგრესის ნებართვა არ გამოითხოვოს, როგორც ეს გათვალისწინებულია შეერთებული შტატების კონსტიტუციით. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აგრეთვე მოითხოვა მიეცეს მას რწმუნება გაუწიოს ამ რაიონის ქვეყნებს სამხედრო და ეკონომიური „დახმარება“. იგულისხმება, კერძოდ, ამ რაიონის ქვეყნებისათვის „ეკონომიურ დახმარებაზე“ დაიხარჯოს 200 მილიონი დოლარი.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ასეთი გამოსვლა ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებსა და მიზნებს და შეიცავს სერიოზულ საფრთხეს მშვიდობისა და უშიშროებისათვის ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში.

უკანასკნელ დროს ამ რაიონში დიდი ცვლილებები მოხდა. აქ გაჩაღდა ხალხთა გმირული ბრძოლა თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალისტური ჩაგვრისაგან სრული განთავისუფლებისათვის. ამით საფრთხე მოელის ამერიკისა და ინგლისის უდიდესი მონოპოლიების ინტერესებს, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრეს და იღებენ კოლოსალურ ზემოგებას. ამან აშკარად შეაშფოთა მონოპოლიების პატრონები.

გააჩაღეს რა აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ისწრაფოდნენ დედამიწის ამ რაიონში აღედგინათ კოლონიზატორთა პოზიციები. ისინი ვარაუდობდნენ გაენადგურებინათ ეგვიპტე, ამით დემორალიზაცია შეეტანათ არაბთა სხვა სახელმწიფოებში, გაეკაფათ მათი ეროვნული დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისა და მთელ ახლო და შუა აღმოსავლეთში კოლონიურ სახელმწიფოთა ბატონობის აღდგენის გზა. ეგვიპტე აგრესიის პირველი მსხვერპლი გახდა, იმიტომ რომ თავისი მტკიცე მოქმედებით მან უჩვენა თავის ეროვნულ უფლებათა და სუვერენიტეტის დაცვის კარგი მაგალითი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თავის მიმართვაში კონგრესისადმი ლაპარაკობს თანაგრძნობასა და სიმპათიაზე, რომლებითაც შეერთებული შტატები თითქოს გამსჭვალული არიან არაბთა ქვეყნებისადმი. მაგრამ სინამდვილე ცხადყოფს, რომ საქმით ამერიკის მმართველი წრეები ამ რაიონში აშკარად ანგარებითს მიზნებს ისახავენ. ცნობილია, რომ, როცა ეგვიპტეს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის სამხედრო აგრესიის შედეგად მოევლინა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვეს საბჭოთა კავშირთან გაერთიანებინათ თავიანთი ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რათა დადამუყვეტი ღონისძიებანი მიეღოთ აგრესიის აღსაკვეთად. ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი საზრუნავი იყო არა არაბთა ქვეყნების მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა, არამედ მისწრაფება ესარგებლნათ ინგლისისა და საფრანგეთის დასუსტებით ახლო აღმოსავლეთში, რათა ხელში ჩაეგდოთ მათი პოზიციები.

ამჟამად, როცა ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა ხელსაყრელი ვითარება და წარმოიშვა ამ რაიონში მშვიდობის განმტკიცებისა და მოუწესრიგებელი საკითხების გადაჭრის რეალური შესაძლებლობანი, შეერთებული შტატების მთავრობა გამოვიდა პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების უხეშ ჩარევას არაბთა ქვეყნების საქმეებში და სამხედრო ინტერვენციასაც კი. ამ პროგრამის აგრესიული მიზანი და მისი კოლონიზატორული ხასიათი არაბთა ქვეყნების მიმართ იმდენად ცხადია, რომ ამის მიჩქმალვა არ შეიძლება არავითარი ბუნდოვანი ფრაზებით მშვიდობისმოყვარეობასა და ზრუნვაზე, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები თითქოს იჩენენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ.

საკითხავია, რა მშვიდობისმოყვარეობაზე ლაპარაკობენ „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ ავტორები, როცა საფრთხე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების უშიშროებისათვის მომდინარეობს სწორედ ნატოს მონაწილე სახელმწიფოთაგან, რომელშიც მთავარ როლს ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებენ? ამ ქვეყნებისათვის რა ზრუნვაზეა ლაპარაკი, როცა სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოში მათს პარტნიორებს ეს ქვეყნები მიაჩნიათ მხოლოდ სტრატეგიული ნედლეულის წყაროებად და კაპიტალის დაბანდების სფეროებად მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. ჯანა ცხადი არ არის, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების არამიკითხე „დამცველები“ ცდილობენ ამ რაიონს თავს მოახვიონ ერთგვარი სამხედრო პროტექტორატის რეჟიმი და მრავალი წლით უკან დააბრუნონ ამ ქვეყნების განვითარება?

შეერთებული შტატების პრეზიდენტის დეკლარაციული განცხადებანი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, არ შეესაბამებიან აგრესიული პროგრამის მიღებას, რომელიც ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გამოყენებას ამ რაიონში. კარგად ცნობილია, რომ წინადადება ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ მნიშვნელოვნად მეტ მიზანს ისახავს, ვიდრე ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების 1950 წლის უბადაღებული სამმხრივი დეკლარაცია და ეგრეთწოდებული შუა აღმოსავლეთის სარდლობის შექმნის 1951 წლის გეგმა, რაც მტკიცედ უარყვეს არაბთა ქვეყნებმა, რომლებმაც სამართლიანად მიიჩნიეს ეს რეალურ საფრთხედ თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხები, რომლებმაც თავიანთ ზურგზე განიცადეს ხანგრძლივი კოლონიური ჩაგვრა, კარგად ერკვევიან კოლონიზატორთა მაქინაციებში, როგორც უნდა ნიღაბადდნენ ამ მაქინაციებს. მათ აირჩიეს დამოუკიდებელი განვითარების გზა და განუხრელად ახორციელებენ სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი ურთიერთობის ძირითად პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებით და რომლებსაც საბჭოთა კავშირი თავის მხრივ სავსებით უპირობოდ მხარს.

არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობა, აგრესორთა დამარცხება ეგვიპტის წინააღმდეგ ომში ცხადყოფს, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხებში ღღითიდღე იზრდება მისწრაფება ბოლო მოუღონ კოლონიალიზმსა და მის შედეგებს. ამ ქვეყნებს შეგნებული აქვთ თავიანთი ძალა და თავიანთი საქმის სიმართლე, შეგნებული აქვთ, რომ ამ ბრძოლაში მარტონი არ არიან, რომ მათ ჰყავთ უანგარო მეგობრები.

ინგლისელ და ფრანგ კოლონიზატორთა პოზიციების შესუსტება. ახლო და შუა აღმოსავლეთში და არაბთა ქვეყნების წარმატება თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს მიაჩნიათ „ვაკუუმად“ (ე. ი. ცარიელ სივრცედ), რომელიც მათ სურთ შეავსონ თავიანთი სამხედრო და ეკონომიური ჩარევით ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში. მაგრამ რა „ვაკუუმზე“ შეიძლება იყოს ლაპარაკი? რა ხნიდან წარმოადგენენ ქვეყნები, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან და დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზაზე გამოვიდნენ, „ვაკუუმს?“ ცხადია, რომ არაბი ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცება, კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მათი ბრძოლის გაძლიერება სრულიადაც არ ქმნის რაღაც „ვაკუუმს“, არამედ წარმოადგენს ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნული უფლებების აღდგენას, პროგრესულ ფაქტორს საზოგადოებრივ განვითარებაში.

შეერთებული შტატები ცდილობენ თავიანთი პოლიტიკა წარმოადგინონ როგორც ანტიკოლონიზატორული პოლიტიკა. მაგრამ ძნელი არ არის დავინახოთ ამ მტკიცების სიყალბე, რაც აშკარად ნავარაუდევია ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა სიფხიზლის მოსადუნებლად. ამერიკის შეერთებული შტატების პროგრამაში მტკიცედ ხაზგასმულია, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთმა უნდა აღიარონ თავიანთი „ურთიერთდამოკიდებულება“ დასავლეთის ქვეყნებთან, ე. ი. კოლონიზატორებთან, კერძოდ, ნავთობის, სუეცის არხისა და სხვ. მიმართ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატები დაჟინებით ისწრაფვიან თავს მოახვიონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებს კოლონიზატორთა „მეურვეობა“. პრაქტიკაში ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების „ურთიერთდამოკიდებულება“ კოლონიურ სახელმწიფოებთან იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებმა თავიანთი ბუნებრივი რესურსები და ეროვნული სიმდიდრე უცხოელი მონოპოლისტების განკარგულებაში უნდა გადასცენ. უბრალოდ რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატები ისწრაფვიან წინანდელი კოლონიური წესრიგი დაამყარონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ახალი აბრით და ხელთ იგდონ აქ გაბატონებული პოზიციები.

კოლონიზატორული პროგრამის ავტორები ცდილობენ დაშაქრონ იგი ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ეკონომიური „დახმარების“ დაპირებით. მაგრამ ყოველი საქმისმცოდნე კაცისათვის გასაგებია, რომ ნამდვილად ამერიკის შეერთებული შტატები არაბთა ქვეყნების ხალხებს მოწყალე დახმარებად სთავაზობენ ამის მხოლოდ მცირე ნაწილს, რასაც ამერიკის მონოპოლიები იღებდნენ და იღებენ ამ ქვეყნების კუთვნილი ბუნებრივი სიმდიდრის ძარცვის გზით, ექსპლოატაციის გზით. ამერიკის შეერთებული შტატები ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს ჰპირდებიან 1958 და 1959 საბიუჯეტო წლებში 200 მილიონ დოლარს, მაშინ როცა მარტო 1955 წელს ამერიკისა და ინგლისის ნავთობის მონოპოლიებმა ახლო აღმოსავლეთში ამოიღეს 150 მილიონი ტონა ნავთობი და ეს მათ დაუჯდათ სულ 240 მილიონ დოლარად, ხოლო ამ ნავთობისაგან მიიღეს 1.900 მილიონი დოლარი წმინდა მოგება. საქმით ასეთია ამერიკის „ქველმოქმედება“!

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განცხადება შეიცავს მტკიცებას, თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ რაიონში აწუხებთ რელიგიების ბედი, მათ შორის ისლამისა, რომელსაც აღიარებს არაბული აღმოსავლეთის ხალხთა უმრავლესობა. მაგრამ ეს მტკიცება არ შეიძლება სერიოზულად მივიჩნიოთ. ისლამი, როგორც რელიგიური მიმდინარეობა, წარმოიშვა მრავალი საუკუნით ადრე მანამდე, სანამ ამერიკას აღმოაჩენდნენ, და მან გაუძლო ოთხ ჯვაროსნულ ლაშქრობას. და ამჟამად არაბთა აღმოსავლეთის მუსლიმანებს არ ესაჭიროებათ, რომ ისლამს მფარველობდნენ შეერთებული შტატები ან ვინმე სხვა. მტკიცება, თითქოს რელიგიის ინტერესები არაბთა აღმოსავლეთში მოითხოვენ ამ რაიონში ამერიკის შეიარაღებული ძალების გაგზავნას, სრულიად უსაფუძვლოა. არა რელიგიის ინტერესები ახლო და შუა აღმოსავლეთში, არამედ ამერიკის ნავთობის უდიდესი კონცერნების ინტერესები აიძულებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იზრუნოს თავისი ჯარების იქ გაგზავნისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის გეგმები მუსლიმანური ქვეყნების რელიგიურ საქმეებში სამართლიანად მიიჩნიათ ამ ქვეყნების ხალხთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფად.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევას არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში და ამ ქვეყნების მიმართ ძალის გამოყენების უხეშ მუქარას შეუძლია მხოლოდ გააძლიეროს ისრაელის მმართველი წრეების აგრესიული ტენდენციები არაბთა ქვეყნების მიმართ. ეს ექსტრემისტული წრეები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ამერიკის მონოპოლიებთან, შეეცდებიან, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერაზე დაყრდნობით, განახორციელონ თავიანთი დამპყრობლური გეგმები, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებას ახლო და შუა აღმოსავლეთში და სერიოზულად გააძლიერებს საფრთხეს მშვიდობისათვის ამ რაიონში.

ცდილობენ რა დაფარონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა და თავიანთი აგრესიული პოლიტიკა ამ რაიონის ქვეყნების მიმართ, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები მიმართავენ ჭორებს, თითქოს არსებობდეს საფრთხე არაბთა ქვეყნებისათვის საბჭოთა კავშირის მხრივ. ეს ცილისმწამებლური მტკიცება ვერავის ვერ მოატყუებს. ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხებს არ დავიწყებიათ, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ უჭერდა და უჭერს მხარს ხალხთა თვითგამორკვევას, მათ მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებასა და განმტკიცებას. ისინი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ყველა ქვეყანასთან ურთიერთობაში განუხრელად იცავს თანასწორუფლებიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას. მათ კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირი აქტიურად იცავს თვითეული ხალხის უფლებას განაგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრეები და გამოიყენოს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ.

არა საბჭოთა კავშირმა, არამედ ინგლისმა და საფრანგეთმა — ამერიკის შეერთებული შტატების მთავარმა პარტნიორებმა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში — ჩაიდინეს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, მიაყენეს ეგვიპტელ ხალხს დიდი მსხვერპლი და ტანჯვა. ამას მოწმობს პორტ-საიდისა და ეგვიპტის სხვა ქალაქების ახალი ნანგრევები, ისევე როგორც ამერიკის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული ახალი გეგმები ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსიისა ახლო და შუა აღმოსავლეთში. ამერიკელ იმპერიალისტთა ეს აგრესიული გეგმები გამოხატავენ მათს მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისაკენ, რასაც ისინი მოურიდებლად აცხადებენ ამჟამად, უწოდებენ რა ასეთ მისწრაფებას ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ მსოფლიოსადმი „ენერგიული ხელმძღვანელობის“ აუცილებლობას.

საბჭოთა კავშირი, და არა სხვა ვინმე, არაბთა ხალხებისათვის მძიმე განსაცდელის დღეებში გამოვიდა როგორც მათი გულწრფელი მეგობარი და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად მიიღო ღონისძიებანი, რათა შეეწყვიტა აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადება შეიცავს მოთხოვნას არაბთა ქვეყნებისადმი უარი თქვან ყოველგვარ კავშირზე საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან, რომლებიც თავიანთ ურთიერთობას არაბთა სახელმწიფოებთან საფუძვლად უდებენ თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პრინციპებს, ბანდუნგის კონფერენციის პრინციპებს. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ეს მოთხოვნა თავისთავად მეტყველებს და უნებლიეთ ამეღვიძებს იმათ საიდუმლო ზრახვებს, ვისაც სურს მიაღწიოს ახლო და შუა აღმოსავლეთის ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების იზოლაციას, რათა უფრო ადვილად გატეხონ მათი წინააღმდეგობა კოლონიზატორებისადმი, რათა განახორციელონ დამპყრობლური გეგმები, რომლებიც მიზნად ისახავენ ამერიკის იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის დამყარებას.

საბჭოთა კავშირისათვის უცხოა ერთმანეთისადმი ქვეყნების წასისიანების პოლიტიკა, უცხოა რაიმე მისწრაფება დათესოს უნდობლობა ხალხთა შორის. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, მიუხედავად მათი სოციალური და საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებისა, სახელმწიფოთა შორის საქმიანი თანამშრომლობის დამყარების პრინციპი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ, განამტკიცებს რა თავის მეგობრულ ურთიერთობას ეგვიპტესთან და არაბთა სხვა ქვეყნებთან, საბჭოთა კავშირი არათუ არასოდეს არ ცდილა გაეუარესებინა ამ ქვეყნების ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან, არამედ, პირიქით, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა და ნდობის ატმოსფეროს დამყარება დედამიწის როგორც ამ, ისე სხვა ზონებში.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით არა აქვს და არც ცდილობს ჰქონდეს რაიმე სამხედრო ბაზა ან კონცესია ახლო და შუა აღმოსავლეთში მოგების მიღების მიზნით, არ ცდილობს მიიღოს რაიმე პრივილეგია ამ რაიონში, რადგან ყოველივე ეს შეუთავსებელია საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პრინციპებთან.

საბჭოთა კავშირი უაღრესად დაინტერესებულია იმით, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში, რომელიც მისი საზღვრების უშუალო სიახლოვეს მდებარეობს, მშვიდობა არსებობდეს. იგი გულწრფელად დაინტერესებულია ამ ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებით და მათი ეკონომიური აყვავებით და ეს მიაჩნია ამ რაიონში მშვიდობისა და უშიშროების საიმედო გარანტიად.

ჩვენს ხანაში ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უძლეველი ისტორიული ძალაა. საბჭოთა კავშირს, რომელიც ერთგულია დიდი და მცირე ხალხების დამოუკიდებელი განვითარების უფლების აღიარებისა და პატივისცემის დიადი ლენინური პრინციპებისა, თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ყოველი ღონისძიებით გაუწიოს დახმარება და მხარდაჭერა ქვეყნებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავიანთი სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის. აი ამიტომ იგი მიესალმება არაბთა ქვეყნების ხალხების მზარდ ერთიანობას მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა კავშირი გადაჭრით ილაშქრებს კოლონიალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ყოველგვარი „დოქტრინის“ წინააღმდეგ, რომლებიც იცავენ და მფარველობენ კოლონიალიზმს. იგი ეწინააღმდეგება არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, სხვის ტერიტორიებზე უცხოელთა სამხედრო ბაზების შექმნას, რაც ნაკარნახევია სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებით და იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის დამყარების გეგმებით. იგი ემყარება იმას, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრეები ამ ქვეყნების ხალხთა განუყოფელი ეროვნული კუთვნილებაა, რომელთაც სრული უფლება აქვთ დამოუკიდებლად განაგონ და ისარგებლონ ამ სიმდიდრით თავიანთი ეკონომიური აყვავებისა და პროგრესის ინტერესებისათვის.

მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საჭიროება მოითხოვს მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ფართოდ განვითარებას. ამ ურთიერთობის განვითარება იმის დიდმნიშვნელოვანი პირობაა, რომ კაცობრიობის საკეთილდღეოდ იქნება გამოყენებული თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. ნატოსა და სეატოს ტიპის კარდახშული აგრესიული სამხედრო ბლოკებისა და ბაღდადის პაქტის შექმნის და ისეთი ხელოვნური ეკონომიური ბარიერების აღმართვის პოლიტიკას, რომლებიც ხელს უშლიან სახელმწიფოთა ნორმალურ ურთიერთობას, სერიოზული ზიანი მოაქვს მშვიდობის საქმისათვის. საბჭოთა კავშირი, რომელიც ისწრაფვის დაეხმაროს ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და კოლონიური ჩაგვრის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის მებრძოლ ხალხებს, აცხადებს, რომ მზად არის განავითაროს მათთან ყოველმხრივი თანამშრომლობა სრული თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ სარგებლობის პრინციპებზე.

შეერთებული შტატების მიერ წამოყენებული იმპერიალისტური პროგრამა კოლონიალიზმისა მოწმობს, რომ ამერიკის მმართველ წრეებს არ გამოუტანიათ საჭირო დასკვნები ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის ჩაფუშვის ფაქტიდან. ისინი აშკარად ცდილობენ დაუბრუნდნენ „ძალის პოზიციის“ გაკოტრებულ პოლიტიკას. ყოველივე ეს არათუ ხელს არ უწყობს დაძაბულობის შენელებას ამ რაიონში, არამედ, პირიქით, იწვევს მდგომარეობის გამწვავებას, მშვიდობისათვის საფრთხის გაძლიერებას ახლო და შუა აღმოსავლეთში და თელავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობისმოყვარულ პრინციპებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდა გენერალური ასამბლეა, როცა დაგმო ამასწინანდელი აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. ბატონ ეიზენჰაუერის მიმართვაში გაისმის არა მშვიდობის ხმა, არამედ ომის ხმა.

საბჭოთა კავშირის ავტორიტეტულ წრეებს მიაჩნიათ, რომ ღონისძიებანი, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სახავს ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონის მიმართ და რომლებიც ითვალისწინებენ ამ რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გამოყენების შესაძლებლობას, გამოიწვევენ საშიშ შედეგებს, რომლებისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

თბილისის მშრომელთა შეხვედრა XVI ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებთან

გასულ კვირას თბილისის საზოგადოებრიობა გულმხურვალედ შეხვდა თავის თანამემამულეებს — ავსტრალიის ქალაქ მელბურნის XVI ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებს. ამ უდიდეს საერთაშორისო შეჯიბრებაში ქართველმა სპორტსმენებმა საბჭოთა სპორტის სხვა უძლიერეს წარმომადგენლებთან ერთად ღირსეულად დაიცვეს ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს სპორტული ალამი. მათ მოიპოვეს ორი ოქროსა და ექვსი ბრინჯაოს მედალი, მოაგროვეს 38 ქულა.

გუშინ, 14 იანვარს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა შეხვედრა ოლიმპიელ სპორტსმენებთან. აქ შეეკრიბნენ ქალაქის საწარმოთა და მშენებლობათა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სასპორტო საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

დარბაზი სადღესასწაულოდ მორთულია. გაჩაღდნებული სცენის სიღრმეში გამოირჩევა ოლიმპიური ემბლემა. ალისფერ ყსოვლზე წარწერილია სიტყვები: „დიდება საბჭოთა სპორტსმენებს“.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. პ. მეკავნაძე, მ. დ. ჩუბინიძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. ი. ქადაგიძე, ზ. ა. კვაკაძე, მ. პ. გიორგაძე, მ. ი. კუპავა, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, თ. ბ. ჯანელიძე, ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილენი, სპორტის დამსახურებული ოსტატები: ორგზის მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში გ. კარტოზია, სსრ კავშირის სპარტაკიადის ჩემპიონი და ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი თავისუფალ ჭიდაობაში მ. ცალქალამანიძე, ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორები, დაჯილდოებულნი ბრინჯაოს მედლით, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. დვალიშვილი, ვ. ბალავაძე, სპორტის ოსტატები რ. ძნელაძე, გ. სხირტლაძე, ნ. გვახარია, ბ. ნიკიტინი, ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილენი რ. ცირეკიძე და ი. ოსიპოვი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მწვრთნელები სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ციმაკურიძე და სპორტის ოსტატი ა. მეიფარიანი.

დამსწრენი მხურვალე ტაშით ხვდებიან სახელგანთქმულ სპორტსმენებს.

საღამოს ხსნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. სიხარულიძე. იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ თვითეული საბჭოთა ადამიანი განიცდის კანონიერი სიამაყის გრძნობას ჩვენი სპორტსმენებისათვის. მთელი საბჭოთა გუნდის მჭიდრო დარაზმულობამ, მონოლითობამ და მეგობრობამ მას მოუტანა ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც სახელოვან ფურცლად შევა ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული მოძრაობის ისტორიაში.

გაისმის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

ოლიმპიელ სპორტსმენებს მისალმებით მიმართავა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეკავნაძე. მან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულთბილად მიულოცა მათ მელბურნის ოლიმპიურ ასპარეზობაზე მიღწეული შესანიშნავი შედეგები.

საბჭოთა სპორტსმენებმა ღირსეულად გაამართლეს ხალხის, სამშობლოს ნდობა. მათ ერთხელ კიდევ მთელი მსოფლიოს წინაშე დაადასტურეს თავიანთი მაღალი ოსტატობა. საბჭოთა გუნდის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა სპორტსმენებმა. რესპუბლიკის მშრომელნი ამაყობენ მათი წარმატებით. საბჭოთა სპორტსმენების შესანიშნავ გამარჯვებას ამ პასუხსაგებ შეჯიბრებაში საფუძვლად უდევს სპორტის მასობრივობა, ნამდვილი ხალხურობა ჩვენს ქვეყანაში. ეს გამარჯვება იმის შედეგია, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, მისი სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის.

ამხ. მეკავნაძე ეხება რესპუბლიკაში მასობრივი ფიზიკური კულტურის შემდგომი განვითარების, სპორტული ოსტატობის აღმავლობის ამოცანებს, გამოთქვამს რწმენას, რომ 1957 წელს საქართველოს სპორტსმენები აღნიშნავენ ახალი წარმატებებით.

ტრიბუნაზეა ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში გ. კარტოზია.

— ჩვენ ვიცოდით, — ამბობს იგი, — რომ ჩვენს სპორტულ ბრძოლას თვალყურს ადევნებს მთელი საბჭოთა ხალხი. ეს აღგვაფრთოვანებდა უძნელეს შეჯიბრებაში. მოპოვებულმა გამარჯვებამ თავბრუ როდი დაგვახვია. პირობას ვაძლევთ დედა-სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, რომლებიც დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა სპორტსმენებისათვის, რომ ახალი ძალით, გულმოდგინებით, მთელი ენერგიით სრულყოფთ ჩვენს ოსტატობას, მოვემზადებით მომავალი საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის.

მგრძნობიარე სიტყვას ამბობს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი და ორი უკანასკნელი ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორი ნ. დვალიშვილი. იგი უამბობს დამსწრეთ, რა ენერგიულად იბრძოდნენ საბჭოთა სპორტსმენები გამარჯვების მიღწევისათვის, რა სიხარულსა და სიამაყეს განიცდიან ისინი იმის გამო, რომ პირველობა მოიპოვეს მსოფლიოს უძლიერეს სპორტულ კოლექტივებთან შეჯიბრებაში.

— ჩვენ სიტყვას ვაძლევთ საქართველოს მშრომელებს, — თქვა ამხ. დვალიშვილმა, — რომ კვლავაც ვიბრძოლებთ ახალი სპორტული წარმატებებისათვის, რეკორდებისა და გამარჯვებათათვის.

სიტყვა ეძლევა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექვაბეს ამხ. ე. სახვაძეს. იგი ამბობს, რომ საწარმოს სამათასიანი კოლექტივი რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად შეხარის წარმატებებს, რომლებიც საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს ოლიმპიურ ასპარეზობაში. ჩვენმა საბჭოთა სპორტსმენებმა მთელ მსოფლიოს უჩვენეს არა მარტო თავიანთი მაღალი ოსტატობა, არამედ აგრეთვე საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი თვისებანი — გამბედაობა, ამტანობა, გამარჯვების ნებისყოფა.

საბჭოთა ახალგაზრდობისადმი, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენებისადმი მიძღვნილი მგზნებარე ლექსი წაიკითხა პოეტმა ი. ნონეშვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ს. როსტიაშვილმა გამოაქვეყნა ბრძან

აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა

«მაია წყნეთელი»

ბათუმის სახელმწიფო თეატრმა თავისი სადეკადო სპექტაკლები დაიწყო ვ. კანდელაკის ჰეროიკული კომედიით „მაია წყნეთელით". ეს ამ ავტორის მერვე პიესაა, განხორციელებული ბათუმის თეატრის სცენაზე.

სპექტაკლის დამდგმელმა, ბათუმის თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწემ გ. ლაღიძემ პიესას უფრო დრამატული ელფერი მისცა, უფრო გაამძაფრა დრამატული სიტუაციები, რაც განსაზვავებს ამ სპექტაკლს რესპუბლიკის სხვა თეატრების დადგმებისაგან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის თეატრის დადგმას ზოგიერთი ხარვეზიც აქვს. სპექტაკლი გადატვირთულია სიმღერებით, რომლებიც ხშირად არც თუ კარგად სრულდება, რეჟისორის შთანაფიქრში ერთგვარი დისონანსი შეაქვს მთელ რიგ სცენებს, მაგალითად, თაგვის გამოჩენა დილეგში და სხვ.

სპექტაკლში წინა პლანზეა წამოწეული ერეკლე მეორის სახე. ნაწილობრივ ეს ალბათ იმის შედეგიც არის, რომ ამ როლს განსახიერებს შესანიშნავი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ხინიკაძე, ხოლო მაიას როლის განსახიერება მინდობილი აქვს ახალგაზრდა მსახიობს ნ. ჭანტურიას, რომელმაც ამ რთული, ძნელად დასაძლევი როლით დაიწყო თავისი თეატრალური მოღვაწეობა. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობ ნ. ჭანტურიას თამაშს ზოგიერთი ნაკლი ახლავს, ძირითადად როლი უთუოდ დაძლეულია. განსაკუთრებით კარგად ჩაატარა მსახიობმა სცენები—შეტაკება სამშობლოს მოღალატე თავად გუბაზთან, საუბარი შეფესთან დილეგში და ლირიული სცენა მანუჩართან.

ერეკლე მეფე მ. ხინიკაძის შესრულებით არის გულთბილი, ადამიანური, სადა, მაგრამ ამავე დროს ძლიერი და შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე. ფიქრობ სპექტაკლზე და ვერ განასხვავებ, რომელ სცენაში უფრო ძლიერია მ. ხინიკაძე — მაიასთან პირველი შეხვედრის დროს, როცა იგი განრისხებული ბრძანებს ურჩი თავადის დასჯას, დილეგში, როდესაც მის გულს იჭვი ღრღნის, ვერ გაურკვევია, მოღალატეა თუ არა მათე-ბიჭი, თუ ფინალში, როცა აშკარა გახდება თავადების გმაცემლობა.

სპექტაკლის წარმატებას დიდად უწყობს ხელს აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის პ. ინწკირველის მიერ დიდი სიყვარულით დახატული ძლიერი, შეუპოვარი ვაჟკაცის—მანუჩარის სახე.

სპექტაკლ „მაია წყნეთელის" ფინალური სცენა.

* * *

სპექტაკლში დამაჯერებლად არის წარმოდგენილი მეფის მოღალატე თავადების სახეები. საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ი. კობალაძეს (ამილახვარი), აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს გ. ახვლედიანს (გუბაზი) და მსახიობს მ. ნაპირელს (ბარათა) მონდომება და შრომა არ დაუშურებიათ პიესის მიხედვით ამ ერთგვარად სქემატური სახეების გამოსაკვეთად.

სპექტაკლში საინტერესოდ არის წარმოდგენილი ჯემალის სახე, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ხ. მეგრელიძე ასრულებს. მსახიობი გადაუჭარბებლად აღწევს ჭეშმარიტ კომედიურობას. მსახიობს ზომიერების გრძნობა და კარგი გემოვნება ახასიათებს.

ყმებით მოვაჭრე თავადის ყაიხოსრო დიღმელის როლს დამაჯერებლად ასრულებს აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. იმნაიშვილი.

კარგად ასრულებენ მაიას რაზმელების როლებს ს. თურმანიძე (ქარიყლაპია), ი. ცანავა (გუგუნა), ვ. დოლიძე (შერმადინ).

კოლორიტული, ცოცხალი სახეები შექმნეს მსახიობმა ვ. ჩხაიძემ (ბიხო), აჭარის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ჯალაღანიამ (ზალიკა-მოურავი), საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ა. მგელაძემ (ბელა), აჭარის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა გ. დოღონაძემ (ქერი-აღა).

აღსანიშნავია მხატვარ ი. ფილიპოვის ღვაწლი. სცენაზე დადგმულ ერთ მთლიან კონსტრუქციას იგი ისე ცვლის მცირე დეტალების საშუალებით, რომ ბატონის სახლი უმალ ეკლესიის ნანგრევებად იქცევა, მეფის სასახლე — მთიან გზისპირად. სცენა გადატვირთული არ არის. სასცენო მოედანი აგებულია ისე, რომ მსახიობებს ხელს უწყობს მოძრაობაში, ხოლო რეჟისორს მიზანსცენების განლაგებაში. გემოვნებითა და ეპოქის ცოდნით არის შესრულებული კოსტიუმებიც.

თბილისელმა მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო და სტუმრები მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

ლ. ყურულაშვილი.

ლექსებისა და პოემების განხილვა

გუშინ, 14 იანვარს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში აჭარის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით შედგა პოეზიის სექციის სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პოეტების სექციის თავმჯდომარემ ა. მირცხულავამ.

განხილულ იქნა აჭარაში მომუშავე ქართველი პოეტების ლექსები და პოემები.

აჭარაში მომუშავე ქართველი პოეტების ნაწარმოებთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს გრ. აბაშიძემ, კ. ლორთქიფანიძემ, მ. ბარათაშვილმა, შ. აფხაიძემ, ს. შანშიაშვილმა, ხ. ბერულავამ, ს. ქურაძემ, მ. ალექსიძემ, თ. ჯანგულაშვილმა, ი. სიხარულიძემ, მაყვალა მრევლიშვილმა, გ. ბერძენიშვილმა.

პოეტებმა ფ. ხალვაშმა, გ. სალუქვაძემ, მ. ვარშანიძემ, ლ. გელაძემ, შ. როყვამ, ჯ. ჯაყელმა წაიკითხეს საკუთარი ახალი ლექსები. სიტყვით გამოვიდა პოეტი ნ. მალაზონია.

დეკადის დღიური

დღეს, 15 იანვარს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში აჭარის სახელმწიფო დრამატული თეატრი მაყურებელს უჩვენებს ბარმენ ლორიას პიესას „დინარას".

როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ნ. თეთრაძე, ა. გარნელი, ა. მგელაძე და ხ. მეგრელიძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები თ. სულხანიშვილი, ნ. კეპეყმაძე, პ. ინწკირველი, ი. კაიკაციშვილი, გ. იმნაიშვილი, თ. თავდიშვილი, გ. დოღონაძე, მსახიობები ნ. საკანდელიძე, დ. კალანდაძე, ნ. თავაძე, ლ. ლორთქიფანიძე, გ. დობორჯგინიძე, ე. მალაყმაძე, თ. ქორეაძე, მ ნაპირელი, ი. ცანავა, მ. შერვაშიძე.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. მრავლაძეს, მხატვარია ა. ფილიპოვი, კომპოზიტორი — რ. გოგნიაშვილი.

სპექტაკლი ასახავს აჭარის ასსრ ერთ-ერთი კოლმეურნეობის ცხოვრებას, მისი მოწინავე ადამიანების ბრძოლას წარსულის მავნე გადმონაშთებთან.

დღეს, 3 საათზე აჭარის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილენი გაემგზავრებიან ქ. რუსთავში, სადაც დაათვალიერებენ ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას და ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

«გათუმის თეატრი»

აჭარის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა მასალების კრებული ბათუმის სახელმწიფო თეატრის მუშაობის შესახებ.

კრებულში დაბეჭდილია ნ. პაიჭაძის სტატია „ზოგი რამ წარსულიდან", რომელიც შეიცავს განვლილი 20 წლის მანძილზე თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების მიმოხილვას. გამოქვეყნებულია აგრეთვე წერილები ნ. დუმბაძისა — „შემოქმედებითი სახის ძიების გზაზე", ვ. კანშვილისა — „თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი" და ა. შონიისა — „სადეკადო რეპერტუარი".

მასალების კრებული მკითხველს აძლევს ნათელ წარმოდგენას იმ შემოქმედებითს მუშაობაზე, რომელიც გასწია



ბათუმის ახალგაზრდა სახელმწიფო თეატრმა 1937 წლის 18 მარტიდან (როცა გაიხსნა ფარდა და მაყურებლის წინაშე პირველად წარსდგა სახელმწიფო თეატრის ნიჭიერი კოლექტივი) დღემდე.

20 წლის მანძილზე ამ თეატრმა ბევრი საინტერესო სპექტაკლი დადგა. რამდენიმე წლის წინათ მისი კოლექტივი ახლოს გაიცნო თბილისელმა მაყურებელმა. ამჟამად კი თეატრი იმყოფება დედაქალაქში და თავის საუკეთესო დადგმებს—„ოიდიპოს მეფეს", „ჰამლეტს", „მაია წყნეთელს", „დინარასა" და „პერსონალურ საქმეს" უჩვენებს თბილისელ მაყურებელს.

კრებულში მოთავსებული წერილი „სადეკადო რეპერტუარი" წარმოადგენს იმ სპექტაკლების მიმოხილვას, რომლებთაც ეს თეატრი თბილისელი მაყურებლის წინაშე წარსდგა.

კრებული კარგად არის გაფორმებული. რედაქტორია ა. შონია.

სურათზე: *კრებულ „ბათუმის თეატრის" გარეკანი.*

დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა

პეკინი, 12 იანვარი. (საკდესი). დღეს ყველა ცენტრალურმა გაზეთმა პირველ გვერდზე დიდი სათაურებით გამოაქვეყნა ცნობა, რომ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთის, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური და მუშათა პარტიების და მთავრობების წარმომადგენლები.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ორგანო გაზეთი „ჟენმინჟიბაო" სათაურში აღნიშნავს, რომ ეს შეხვედრა ხელს შეუწყობს მოძმე ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოებას, ურთიერთობის განვითარებას, აგრეთვე იმას, რომ გადაჭრით აღიკვეთოს ყოველგვარი ცდა — შეასუსტონ სოციალისტური ბანაკის ერთიანობა და სიმტკიცე.

იმ ცნობის ტექსტი, რომ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთის, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური და მუშათა პარტიების და მთავრობათა წარმომადგენლები, გადასცა ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა.

ადენაუერის განცხადება პრეს-კონფერენციაზე ბონში

ბონი, 12 იანვარი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ადენაუერის თავადების სახეები. საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ი. კობალაძეს (ამილახვარი), აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს გ. ახვლედიანს (გუბაზი) და მსახიობს მ. ნაპირელს (ბარათა) მონდომება და შრომა არ დაუშურებიათ პიესის მიხედვით ამ ერთგვარად სქემატური სახეების გამოსაკვეთად.

სპექტაკლში საინტერესოდ არის წარმოდგენილი ჯემალის სახე, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ხ. მეგრელიძე ასრულებს. მსახიობი გადაუჭარბებლად აღწევს ჭეშმარიტ კომედიურობას. მსახიობს ზომიერების გრძნობა და კარგი გემოვნება ახასიათებს.

ყმებით მოვაჭრე თავადის ყაიხოსრო დიღმელის როლს დამაჯერებლად ასრულებს აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. იმნაიშვილი.

კარგად ასრულებენ მაიას რაზმელების როლებს ს. თურმანიძე (ქარიყლაპია), ი. ცანავა (გუგუნა), ვ. დოლიძე (შერმადინ).

კოლორიტული, ცოცხალი სახეები შექმნეს მსახიობმა ვ. ჩხაიძემ (ბიხო), აჭარის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ჯალაღანიამ (ზალიკა-მოურავი), საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ა. მგელაძემ (ბელა), აჭარის ასსრ დამსახურებულმა არტისტმა გ. დოღონაძემ (ქერი-აღა).

აღსანიშნავია მხატვარ ი. ფილიპოვის ღვაწლი. სცენაზე დადგმულ ერთ მთლიან კონსტრუქციას იგი ისე ცვლის მცირე დეტალების საშუალებით, რომ ბატონის სახლი უმალ ეკლესიის ნანგრევებად იქცევა, მეფის სასახლე — მთიან გზისპირად. სცენა გადატვირთული არ არის. სასცენო მოედანი აგებულია ისე, რომ მსახიობებს ხელს უწყობს მოძრაობაში, ხოლო რეჟისორს მიზანსცენების განლაგებაში. გემოვნებითა და ეპოქის ცოდნით არის შესრულებული კოსტიუმებიც.

თბილისელმა მაყურებელმა სპექტაკლი გულთბილად მიიღო და სტუმრები მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

ლ. ყურულაშვილი.

დეკადის ღღიური

მდგომარეობა იემენში კვლავ სერიოზულია

კაირო, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, იემენის დესპანმა კაიროში აბდელ რაჰმან აბუ თალებმა გუშინ იემენის მეფის იმამ აჰმედისაგან მიიღო დეპეშა, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რა სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა იემენის წინააღმდეგ ინგლისის აგრესიის შედეგად, რომელიც 24 დეკემბრიდან გრძელდება. იმამმა აჰმედმა დაავალა აბუ თალებს აცნობოს შექმნილი მდგომარეობა არაბთა ქვეყნების ლიგის სამდივნოს და ეგვიპტის მთავრობას.

მეფე აჰმედის დეპეშაში ნათქვამია, რომ 8 იანვარს საღამოს 9 საათზე ინგლისის 16 ჯავშნიანმა მანქანამ იერიში მიიტანა იემენის ქალაქ ქათაბაზე. არტილერიის ცეცხლმა დაანგრია მთავრობის შენობები, არმიის ბარაკები და სხვა შენობები.

მეორე დღეს დილით დაიბომბა ქალაქი ელბეიდა.

აბუ თალებმა პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მდგომარეობა იემენში მეტად სერიოზული ხდება და არავინ არ უნდა გაჰკიცხოს იემენი, თუ იგი კარს გაუღებს თავის იმ მეგობრებს, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ მას".

ეგვიპტეში იემენის დესპანის განცხადება

ლონდონი, 12 იანვარი. (საკდესი). კაიროს რადიოს ცნობით, იემენის დესპანმა ეგვიპტეში აბდელ რაჰმან აბუ თალებმა დღეს კაიროში გაკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ, როგორც იემენის მთავრობას მიაჩნია, ინგლისმა თავისი აგრესიით იემენის წინააღმდეგ გააუქმა ინგლის-იემენის 1934 წლის ხელშეკრულება და ორივე ქვეყანას შორის 1951 წლის შეთანხმება.

1934 წლის ხელშეკრულება ითვალისწინებდა დავის მშვიდობიან მოწესრიგებას იემენსა და ინგლისს შორის, ხოლო 1951 წლის შეთანხმებით დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობა მყარდებოდა ორივე სახელმწიფოს შორის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

11 იანვრის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 12 იანვარი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეის პლენარულმა სხდომამ ერთხმად მოიწონა 18 ქვეყნის (კანადა, ჩეხოსლოვაკია, ინდოეთი, ინგლისი, სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ.) მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომელიც გენერალური ასამბლეის საკონსულტაციო კომიტეტს ავალებს აწარმოოს მოლაპარაკება ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან ამ ორგანოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის ურთიერთობის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ბ. ვინკლერმა, რომელმაც მოუწოდა ასამბლეას მოიწონოს წარდგენილი რეზოლუციის პროექტი, აღნიშნა, რომ წესდება, რომელიც ერთსულოვნად დამტკიცა 1956 წლის ოქტომბერში ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წესდების განხილვისა და დამტკიცების კონფერენციამ, ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგია. ეს, თქვა მან, ადასტურებს, რომ, თუ არის კეთილი ნება და მისწრაფება თანამშრომლობისადმი, შეიძლება მიღწეულ იქნას დადებითი შედეგები და გამოინახოს დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის საშუალებანი.

შემდეგ ასამბლეამ ხმის უმრავლესობით დაამტკიცა სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის მოხსენება ეგრეთწოდებული „კონსულტაციების სისტემის" კონვენციის პროექტის შესახებ. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ეს პროექტი წარადგინა არგენტინის დელეგაციამ იმ განზრახვით, რომ შეიქმნას ახალი „საკონსულტაციო აპარატი" იმ საბაბით, თითქოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არა აქვს საჭირო ორგანოები, რომლებსაც შეუძლიათ იმოქმედონ სწრაფად და ეფექტიანად იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე შეექმნება მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას. ამავე დროს ცნობილია, რომ ასეთი ორგანოებია უშიშროების საბჭო და გენერალური ასამბლეა. არგენტინის პროექტის ნამდვილი მიზანი ის იყო, რომ შექმნილიყო ახალი აპარატი, რომელიც შეცვლის არსებულ ორგანოებს და იმოქმედებს უშიშროების საბჭოს და საბჭოს მუდმივი წევრების ერთხმივობის წესის გვერდის ავლით. ამრიგად, არგენტინის წინადადება ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წესდების პრინციპებს და ფაქტიურად მიზნად ისახავს ძირი გამოუთხაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თვით საფუძვლებს.

რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რევიზიის უარესად თავგამოდებულმა მომხრეებმაც კი ვერ გაბედეს მხარი დაუჭირათ არგენტინის წინადადებისათვის მისი ახლანდელი სახით, არგენტინის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა შეიტანეს წინადადება — გადაეცეს არგენტინის პროექტი განსახილველად წესდების გადასინჯვის კონფერენციას, რომლის მოწვევასაც მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ჯგუფი. ეს წინადადება მიღებულია ხმის უმრავლესობით კომიტეტში და პლენარულ სხდომაზე. ამ წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცეს 8 ქვეყნის წარმომადგენლებმა, თავი შეიკავეს 4 ქვეყნის დელეგაციებმა.

დილის სხდომის ბოლოს გენერალურმა ასამბლეამ ხმის უმრავლესობით მოიწონა პოლიტიკური კომიტეტის მოხსენება კორეის საკითხზე, რომელიც შეიცავს ამერიკის რეზოლუციის პროექტს. ეს პროექტი მოითხოვს კორეის გაერთიანებას იმ გზით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით მოეწყოს ეგრეთწოდებული „თავისუფალი" არჩევნები სამხრეთ კორეის ნიმუშის მიხედვით და ავალებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიას „განაგრძოს თავისი ღონისძიებანი" წინანდელი მიმართულებით, ესე იგი ყოველი ღონისძიებით დაუჭიროს მხარი ლი სინ მანის რეჟიმს. იგივე პროექტი ავალებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კვლავ შეიტანოს კორეის საკითხი გენერალური ასამბლეის შემდეგი XII სესიის წინასწარ დღის წესრიგში.

ამ პროექტის წინააღმდეგ პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.

ა. ა. სობოლევმა (სსრ კავშირი) აღნიშნა, რომ გენერალურ ასამბლეას არაერთგზის მიუღია რეზოლუცია კორეის საკითხზე, ანალოგიური იმ რეზოლუციისა, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შემოიტანეს ამ სესიაზე. ყველა ამ რეზოლუციის საერთო ნიშანია ის, თქვა მან, რომ ამ რეზოლუციებით არ არის გათვალისწინებული, რომ კორეაში არსებობს ორი სახელმწიფო, რომლებსაც სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილება აქვთ, და რომ კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მათ შორის თანდათანობითი დაახლოების გზით. პირიქით, ამ რეზოლუციებით გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის დაჩქარებით უცხოეთის ოკუპაციის პირობებში თავს მოახვიონ მთელ კორეას სწორედ ის ღისინმარელთა რეჟიმი, რომელიც ვერ მოახვიეს მას თავს იაპონის ძალით კორეის ომის წლებში.

აღნიშნა რა, რომ ამ რეზოლუციებმა სრულებითაც არ შეუწყო ხელი კორეის საკითხის გადაჭრას, არამედ მხოლოდ არია და გაართულა იგი, ა. ა. სობოლევმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რეზოლუციებმა ხელი ვერ შეუშალა ამერიკელ ხელისუფლებს და მათს სამხრეთკორეელ მარიონეტს დაერღვიათ დაზავება კორეაში. ამერიკის ხელისუფალთა სანქციით ნეიტრალური ქვეყნების კომისიის საინსპექციო ჯგუფების გაძევებამ სამხრეთ კორეიდან გაძალიერა კორეაში მშვიდობის დარღვევის საფრთხე. ეს საფრთხე მით უფრო დიდია, რომ, როგორც შეიძლება გავიგოთ სამხრეთ კორეის წარმომადგენლის განცხადებიდან კომიტეტში, ლისინმანელთა ხელისუფლები ილაშქრებენ დაზავების წინააღმდეგ და მხარს უჭერენ საომარი მოქმედების განახლებას კორეაში.

შეეხო რა კორეის საკითხის გადაჭრის გზებს, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა მიიღონ ღონისძიებანი დაზავების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის და ამასთან დაკავშირებით შექმნან ნორმალური პირობები კორეაში დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური ქვეყნების კომისიის საქმიანობისათვის. აგრეთვე საჭიროა, რომ მშვიდობის პირობებში ორმა სახელმწიფომ, რომლებიც კორეაში შეიქმნა, დაამყარონ ერთმანეთს შორის კონტაქტი, თანდათანობით მოაწესრიგონ თანამშრომლობა პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის დარგში. ეს შექმნის წანამძღვრებს კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენისათვის.

ა. ა. სობოლევმა განაცხადა, რომ სამხრეთ კორეის მმართველმა წრეებმა არა ერთგზის უარყვეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებანი იმის შესახებ, რომ კონტაქტები დამყარდეს კორეის ორივე ნაწილის პარლამენტებს, მთავრობებს, პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებს შორის.

ამრიგად, განმარტა რა მიზეზები, რომელთა გამო საბჭოთა კავშირი ილაშქრებს ამერიკის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, ა. ა. სობოლევმა დასასრულ განაცხადა: „საბჭოთა დელეგაცია დარწმუნებულია, რომ კორეელ ხალხს თვითონ ძალუძს გადაჭრას კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენის პრობლემა, თუ მას ხელს არ შეუშლიან".

ისრაელ დამპყრობთა დანაშაულობანი სინას ნახევარკუნძულზე

ქაირო, 12 იანვარი. (საკდესი). როგორც მენის საგენტო იუწყება, ისრაელ დამპყრობნი კვლავ საშინელ ბოროტმოქმედებას სჩადიან არაბი მოსახლეობის წინააღმდეგ მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე.

საგენტო იუწყება, რომ ხან-იუნისში ისრაელის ჯარისკაცები თავს ესხმიან არაბ მცხოვრებთა სახლებს და აპატიმრებენ 18-25 წლის ასაკის ახალგაზრდებს. აგრესორები მშობლების თვალწინ ხვრეტენ არაბ ჰაბუკებს. სულ ცოტა 430 არაბი გახდა ამ სასტიკი რბევის მსხვერპლი. ღაზაში ისრაელმა დამპყრობლებმა მხეცურად დახოცეს 8 ათასი ჰაბუკი.

ისრაელის ჯარისკაცები შაშხანის კონდახს ურტყამენ ქალებსა და ბავშვებს და საშინლად აწამებენ დაპატიმრებულ არაბებს. ისინი მასობრივად აპატიმრებენ არაბ მცხოვრებლებს და იტაცებენ მათს ფონებს.

როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი" იუწყება, 10 იანვარს ისრაელის ხელისუფლებმა ღაზიდან გაიყვანეს 400 ეგვიპტელი ქალი, მამაკაცი და ბავშვი და მოათავსეს საკონცენტრაციო ბანაკში ელ-არიშის ახლოს.

როგორც მენის საგენტო იუწყება, არაბთა ქვეყნების ლიგის სამდივნომ მიიღო ცნობები, რომ ისრაელი დამპყრობნი-ბილწავენ მეჩეთებს, ხელს უშლიან მუსლიმანებს შეასრულონ ღვთისმსახურება და კიდევაც ხოცავენ ეკლესიის მსახურთ.

დამთავრდა ინგლის-მალაიის მოლაპარაკება ლონდონში

ლონდონი, 11 იანვარი. (საკდესი). აქ დამთავრდა ინგლისის კოლონიების სამინისტროსა და მალაიის ფედერაციის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკება ამა წლის აგვისტოში მალაიის მიერ „დამოუკიდებლობის" მიღების შემდეგ ინგლის-მალაიის ურთიერთობის საკითხებზე. მოლაპარაკებამ რამდენიმე კვირას გასტანა.

ინგლისმა დაპირება ამ ინგლისის კოლონიისათვის 1957 წელს დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ მისცა 1956 წლის დამდეგს მალაიის საზოგადოებრიობის მტკიცე მოთხოვნის შედეგად.

მოლაპარაკების დროს, რომელიც ინგლისის მხრივ ძლიერი ზეგავლენის ვითარებაში მიმდინარეობდა, ხელმოწერილ იქნა შეთანხმებანი მალაიის „თავდაცვის სისტემის" შესახებ და მალაიისათვის ინგლისის ფინანსური „დახმარების" გაწევის შესახებ „დამოუკიდებლობის" მინიჭების შემდეგ.

როგორც ეგვიპტეყნებული კომუნიკედან ჩანს, ხელმოწერის შეთანხმებათა პირობები ზოგადევენ მალაიის „სუვერენიტეტს". მაგალითად, ინგლისს უფლება აქვს „დამოუკიდებლობის" მინიჭების შემდეგაც მალაიის ტერიტორიაზე იყოლიოს თავისი შეიარაღებული ძალები განუსაზღვრელად დიდი დროის განმავლობაში.

რაც შეეხება ფინანსურ „დახმარებას", იგი, როგორც შეთანხმებიდან ჩანს, ზოხმარდება, კერძოდ, მალაიის შეიარაღებული ძალების გაფართოებასა და განმტკიცებას და მალაიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას.

«კომუნისტის» პრესის კაბინეტი

დღეს, 15 იანვარს

პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 14, III სართული) საღამოს 7 საათზე შედგება ქალაქის საწარმოთა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთათვის ძ. ჯახპაროვის ლექცია „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ".

* * *

პრესის კაბინეტში ყოველდღიურად საღამოს 6-დან 9 საათამდე (შაბათობით 4-დან 7 საათამდე) ეწყობა კონსულტაცია მუშსოფლკორთა და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთათვის.

ტელეფონი 3-57-61.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ᲓᲦᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — ბიკის ქალი, **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის** (ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი) — დინარა, **მუსიკალური კომედიის** — ახალი სიმღერა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ოქროსკაჟმჩრიანები (აბონემენტი № 25, 10 ს.), **თოჯინების ქართული**—ბურატინოს თავგადასავალი (10 ს.), **ფილარმონია** — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საფორტეპიანო ტრიოს კონცერტი (კონსერვატორიის მცირე დარბაზი, 9 ს.).

ᲙᲘᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, კოლხიდა, ისანი, **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — ტყუპთა ოინები, **დიდუბე, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — თაფლობის თვე, **ამირანი**—ზანგეზური, **კომკავშირელი** — აბეზარა, **კოლმეურნე** — ჩრდილი გზაზე, **ოფიცერთა სახლი** — ძველი შტოლნის საიდუმლოება, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი**—მუნა, **კომუნარების ბაღი** — ვინ არის იგი?, **კიროვის სახელობის პარკი** — სკანდალი კლოშმერლში, **26 კომისრის სახელობის** — სომხური ფილმების ფესტივალი: პეპო, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ეს იუწყებოდა ასე..., **მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ყუჩის სერენადა, **ქრონიკა**—ინტერვენტები, შორს ეგვიპტიდან; ყარყატი, საძაგელი ეხვი; მხსნელი ჯოხი.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ოთხშაბათს, 16 იანვარს, დღის 2 საათზე

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივთან წარმოდგენილი იქნება

სოფოკლე

ᲝᲘᲓᲘ�პᲝᲡ ᲛᲔᲤᲔ

მონაწილეობენ: **აკ. ხორავა, თ. ჭავჭავაძე, ემ. აფხაიძე, გ. სალარაძე, ნ. ჩხეიძე, ბ. კობახიძე**

და მთელი დასი.

დარჩენილი ბილეთები იყიდება.

შვილები ირმა, შალვა, ზურაბ, თეზიკო, ძმა ლევან, დები დისია, ნინო, ლიზა, რძლები როზა, ბაბუცა, ნანული, სიძეები ი. ლეკაშვილი, ი. ტყეშელაშვილი, კ. ბუტულოვი ოჯახებით იუწყებიან

მარიამ გიორგის ასულ წულუკიძე-მარღანიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-I, 5 ს. ქ. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, ცაცხვების ქ. № 6.

შვილები მზია, შოთა, დები ნ. კლიმიაშვილი, თ. ჯაფარიძე, ძმა ლუკა, სიძე პ. ფირფილაშვილი, რძალი ნ. ცაგურია ოჯახებით იუწყებიან

ბარბალე იაკობის ასულ ბრეგვაძე-ჩხაიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-I, 8 ს. გამოსვენება 17-I, 3 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 17.

შვილები შოთა, ეკატერინე, გულნარა, რძალი გოგუცა ჯიქია, სიძეები ვ. გელანტია, ო. წიფურია ოჯახებით იუწყებიან

აგრაფინა ბახვა ასულ ჯიშკარიანი-ხუხუნის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-I ქ